



ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
National Curriculum & Assessment Centre

საქმიანი ქაღალდების წაკითხვა და შექმნა

თბილისი
2009

დამხმარე სახელმძღვანელო „საქმიანი ქაღალდების წაკითხვა და შექმნა“ განკუთვნილია საქართველოს სკოლების არაქართულენოვანი თანამშრომლებისთვის.

სახელმძღვანელო გაუადვილებთ მათ თავიანთ პროფესიულ გარემოში საქმიანი ქაღალდების ქართულ ენაზე გაგებასა და წარმოებას.

ავტორები: **თამარ ჯაყელი, მანია მელიქიძე**

რედაქტორი: **ქეთევან დათუკიშვილი**


დიზაინერ-

დამკაბადონებელი: **ქეთევან გოგავა**

ს ა რ ჩ ე ვ ი

თემა 1. სკოლის რეაბილიტაცია. ნაწილი I	5
სკოლის რეაბილიტაცია. ნაწილი II	38
თემა 2. სკოლის აკრედიტაცია	69
თემა 3. სასწავლო გეგმა	87
ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი	124
ზმნური ლექსიკონი	125
ვინიანი 1.	125
ვინიანი 2.	127
თავისებური ზმნები	131
ანბანური ლექსიკონი	132
აქტივობათა პასუხები	146

4) გამოიყენეთ ბლოკებში მოცემული სიტყვები და ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ წინადადებები. მიუთითეთ, რა შეიძინა სკოლამ და რისთვის.



ნიმუში: სკოლამ შეიძინა მერხები საკლასო ოთახისთვის.

5) შეადგინეთ 8 წინადადება. მიუთითეთ, რა შეიძინა და რა არ შეიძინა თქვენმა სკოლამ?


1. ჩემმა სკოლამ შეიძინა
2.
3.
4.
5. ჩემმა სკოლამ არ შეიძინა
6.
7.
8.

6) იმუშავეთ წყვილებში ნიმუშის მიხედვით:

რა შეიძინა თქვენმა სკოლამ?
რა არ შეიძინა?

ჩემმა სკოლამ შეიძინა ბურთები. ჩემმა სკოლამ არ შეიძინა მერხები.

7) გამოიყენეთ ბლოკებში მოცემული სიტყუები და ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ 6 წინადადებება. მიუთითეთ, ვინ ვის რა გადასცა.



ნიმუში: **ვინ?** **რას?** **რა?**
ფონდმა სკოლას წიგნები გადასცა.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

8) დაწერეთ, ვინ რა გადასცა თქვენს სკოლას.

9) გადახაზეთ ზედმეტი სიტყუა.

მანქანა მწყობრიდან გამოვიდა, ანუ მანქანა
მოიშალა დაზიანდა მონესრიგდა გაფუჭდა

10) აწარმოეთ ნიმუშის მიხედვით.

- ა)
- | | | |
|---------|---|---------|
| მოშლა | → | მოშლილი |
| აღჭურვა | → | |
| აღდგენა | → | |
| შეძენა | → | |
| მონყობა | → | |

ბ)

- დაზიანება —————> დაზიანებული
- მონესრიგება —————>
- გაფუჭება —————>
- განახლება —————>
- გადაცემა —————>

გ)

- შემინვა —————> შემინული
- შესყიდვა —————>
- გადახურვა —————>

11) ბლოკებში მოცემული სიტყვები დააწყვილეთ ნიმუშის მიხედვით.

შენობის	შენობა
მერხის	მერხი
სკოლის	სკოლა
ოთახის	ოთახი
ინვენტარის	ინვენტარი
სიგელების	სიგელები

მონესრიგებული	მონესრიგება
შეძენილი	შეძენა
აღდგენილი	აღდგენა
გაფუჭებული	გაფუჭება
განახლებული	განახლება
გადაცემული	გადაცემა

ნიმუში: შენობის აღდგენა – აღდგენილი შენობა

-
-
-
-

12) ბლოკში მოცემული სიტყვების გამოყენებით უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

აღდგენილი დაზიანებული მონესრიგებული
ინვენტარით აღჭურვილი შემინული

- როგორია თქვენი სკოლის შენობა?
- როგორია თქვენი სკოლის გათბობის სისტემა?
- როგორია თქვენი სკოლის ფანჯრები?

13) ბლოკში მოცემული ზმნები ჩასვით კონტექსტის მიხედვით.

მწყობრიდან გამოვიდა აღჭურვა შეიძინა მოანესრიგეს

- სტიქიის შემდეგ ელექტროგაყვანილობის სისტემა

- სკოლაში დაზიანებული გათბობის სისტემა
.....
- სკოლამ ახალი მერხები
- აუცილებელია ბიბლიოთეკის
კომპიუტერებით.

წარსული დრო

ცხრილი 1

საწყისი	წყვეტილი (რა ქნა?)
	მან (მათ) ის
განახლება შეძენა შესყიდვა გადაცემა მონესრიგება აღჭურვა შეკეთება	განახლ-ა(/-ეს) შეიძინა შეისყიდა გადასცა მონესრიგა აღჭურვა შეაკეთა

14) გამოიყენეთ ცხრილი 1 და მოცემული საწყისები

ჩასვით სათანადო ფორმაში.

- დირექციამ სკოლისათვის
40 მერხი. (შესყიდვა)
- მერიამ ახალი ინვენტარით
- სპორტული დარბაზი. (აღჭურვა)
- სპეციალისტებმა სასწრაფოდ
დაზიანებული სისტემა. (მონესრიგება)
- მერიის თანამშრომლებმა ბიბლიოთეკას
..... 6 კომპიუტერი. (გადაცემა)
- მუშებმა სკოლის სახურავი.
(შეკეთება)



დამატებითი აქტივობები რიცხვით სახელზე (რიგობითები და რთული რიცხვითები)

თავთავი 1. მოსწ. წიგნი: თემა 2. (გვ. 12-15)
სამუშაო რვეული: თემა 2. № 11-27;
თემა 9. № 10-11

15) გაეცანით ცხრილს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

	გადაცემა	მონესრიგება	შეძენა	შეკეთება/გარემონტება
თბილისის 62-ე საჯარო სკოლა	350 ცალი მერხი		თვალსაჩინოებები ისტორიის კაბინეტისათვის	
მარნეულის მე-5 საჯარო სკოლა	45 ცალი სკოლის ჩანთა პირველკლასელებისათვის	გათბობის სისტემა		სახურავი
ახალქალაქის მე-10 საჯარო სკოლა	20 კომპიუტერი		წიგნები ბიბლიოთეკისთვის	სპორტული დარბაზი
თბილისის 1-ლი საჯარო სკოლა			5 კომპიუტერი	ბიბლიოთეკა
ნინოწმინდის მე-15 საჯარო სკოლა	სპორტული ინვენტარი	სკოლის ეზო	სახელმძღვანელოები	

ა)

- რომელმა სკოლამ შეიძინა სახელმძღვანელოები?
- რომელმა სკოლამ მოაწესრიგა გათბობის სისტემა?
- რომელმა სკოლამ შეიძინა კომპიუტერები?
- რომელმა სკოლამ შეაკეთა სახურავი?
- რა შეიძინა ახალქალაქის სკოლამ?
- რა გაარემონტა თბილისის 1-ლმა საჯარო სკოლამ?
- რა მოაწესრიგა ნინოწმინდის საჯარო სკოლამ?

ბ)

- რომელ სკოლას გადაეცა ჩანთები?
- რომელ სკოლას გადაეცა სპორტული ინვენტარი?
- რა გადაეცა თბილისის 62-ე საჯარო სკოლას?
- რა გადაეცა ახალქალაქის მე-10 საჯარო სკოლას?

16) წერილობით მოამზადეთ 5 შეკითხვა და დაუსვით მენყვილეს. მაგალითად:

1. რომელმა სკოლამ ... ?
2. რომელ სკოლას ... ?
3. რა გადაეცა ... ?

17) გაეცანით დოკუმენტს (გვ. 12) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

17.1. ფრაზები დააკავშირეთ ტექსტის მონაკვეთებთან და მიუწერეთ შესაბამისი ციფრი.

ა. სკოლის შერჩევის კრიტერიუმები.

ბ. ორი ათას შვიდ წელს განხორციელებული ღონისძიებები

გ. პროგრამის მიზანი.

17.2. ხელახლა გაეცანით II და III მონაკვეთებს და მონიშნეთ ცხრილში, რომელი საქმიანობა რომელ წელს განხორციელდა.

ღონისძიებები	2006 წელი	2007 წელი
სახურავის შეკეთება		
სკოლის გადახურვა		
ფანჯრების ჩასმა (შემინვა)		
ისტორიისა და გეოგრაფიის კაბინეტების აღჭურვა		
სკოლების აღჭურვა მერხებით და სკამებით		
სკოლებისთვის ავტობუსების გადაცემა		
სკოლებისთვის I კლასის სახელმძღვანელოების გადაცემა		

prezidentის nationalური megaprograma
«iakob gogebašvili saqartvelos
sajarkol ebis reabilitacia»

I მონაკვეთი

პროგრამა ითვალისწინებს განათლების მატერიალური ბაზის განახლებას. კერძოდ, არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციასა და ახალი შენობების მშენებლობას, ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების აღჭურვას.

II მონაკვეთი

პროგრამის ფარგლებში 2006 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 20 საჯარო სკოლის მშენებლობა
- 69 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია
- საქართველოს 8 დიდი ქალაქის 219 სკოლის ეტაპობრივი რეაბილიტაცია:
 - პირველი ეტაპი – სახურავის შეკეთება; წყალგაყვანილობის მოწესრიგება;
 - მეორე ეტაპი – გათბობის სისტემის მოწესრიგება.
- სკოლებისთვის 177 000 ახალი მერხისა და სკამის შესყიდვა
- სკოლებისათვის 50 სასკოლო ავტობუსის გადაცემა
- სხვადასხვა რეგიონის სკოლებისათვის 95 000 ცალი სასკოლო ფორმის გადაცემა
- მაღალმთიანი რეგიონების სკოლებისათვის 5800 ცალი სასკოლო ქურთუკის გადაცემა
- 270 სკოლის ისტორიისა და გეოგრაფიის კაბინეტებისთვის თვალსაჩინოებების გადაცემა.

III მონაკვეთი

პროგრამის ფარგლებში 2007 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 1 საჯარო სკოლის მშენებლობა
- 120 სკოლის სრული რეაბილიტაცია
- 139 სკოლის ეტაპობრივი რეაბილიტაცია:
 - პირველი ეტაპი – გადახურვა, შემინვა;
 - მეორე ეტაპი – წყალგაყვანილობის, გათბობის სისტემების მოწესრიგება.
- 500 სკოლის ისტორიისა და გეოგრაფიის კაბინეტებისთვის თვალსაჩინოებების გადაცემა
- სკოლებისათვის 110 000 ახალი მერხისა და სკამის გადაცემა
- ყველა პირველკლასელისათვის სასკოლო განთებისა და სახელმძღვანელოების გადაცემა.

IV მონაკვეთი

სარეაბილიტაციო სკოლები შეირჩა შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:

1. ყველა მუნიციპალიტეტში თითო დიდკონტინგენტიანი საჯარო სკოლა;
2. საჯარო სკოლები, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ავარიულ მდგომარეობაშია და მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას;
3. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სკოლების რეაბილიტაცია (უმეტესწილად – სახურავების აღდგენა).

17.3. ტექსტზე დაყრდნობით შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

განხორციელებული საქმიანობები	
აღდგენა	აღჭურვა
<ul style="list-style-type: none"> სახურავის შეკეთება, 	<ul style="list-style-type: none"> 177000 მერხის შესყიდვა,

17.4. გამოიყენეთ II და III მონაკვეთი და ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ ექვსი წინადადება. მიუთითეთ, ვის რა გადასცეს, რამდენი და როდის.

ნიმუში: ორი ათას ექვს წელს სკოლებს გადასცეს ორმოცდაათი სასკოლო ავტობუსი.

17.5. სვეტებში მოცემული ინფორმაციები დაუკავშირეთ ერთმანეთს და ქვემოთ მოცემულ ციფრებს მიუწერეთ შესაბამისი ასოები.

- | | |
|--|---------------------------------------|
| 1. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. | ა. ზამთარში სასწავლო პროცესი გაჩერდა. |
| 2. სტიქიამ სახურავი დააზიანა. | ბ. შეიძლება კედელი ჩამოინგრეს. |
| 3. ძლიერმა ყინვამ გათბობის სისტემა დააზიანა. | გ. ბიბლიოთეკაში წყალი ჩამოდის. |

1. 2. 3.

17.6. ჩასვით კონტექსტის მიხედვით.

დიდკონტინგენტიანი / მცირეკონტინგენტიანი

მე-5 საჯარო სკოლაში სწავლობს 960 მოსწავლე, მე-12 საჯარო სკოლაში კი — 125. მე-5 საჯარო სკოლა არის, ხოლო მე-12 საჯარო სკოლა

17.7.

ა) IV მონაკვეთის მიხედვით დაუსვით ერთმანეთს კითხვები და განსაზღვრეთ, შეირჩევა თუ არა სკოლა სარეაბილიტაციოდ.

- როგორია თქვენი სკოლა: დიდკონტინგენტიანი თუ მცირეკონტინგენტიანი?

- არის თუ არა თქვენი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ავარიულ მდგომარეობაში?
- დააზიანა თუ არა თქვენი სკოლა სტიქიურმა მოვლენებმა?

ბ) დანერეთ და მოახსენეთ ჯგუფს, შეირჩევა თუ არა თქვენი მეწყვილის სკოლა სარეაბილიტაციოდ და რატომ.

გამოიყენეთ კონსტრუქცია:
 მისი სკოლა შეირჩევა/არ შეირჩევა სარეაბილიტაციოდ იმიტომ, რომ ის არის ...

18) დააკავშირეთ ერთმანეთთან.

- | | |
|------------------|-----------------|
| გასულ კვირას ● | ● შემდეგ კვირას |
| მომავალ კვირას ● | ● წინა კვირას |

როდის?

ცხრილი 2	
გასულ კვირას წინა კვირას 2 დღის წინ	+ წყვეტილი (რა მოხდა?) ვიყავი სოფელში
ახლა, ამჟამად მოცემულ მომენტში	+ აწმყო (რა ხდება?) ვარ სოფელში
მომავალ კვირას შემდეგ კვირას 2 დღის შემდეგ	+ მყოფადი (რა მოხდება?) ვიქნები სოფელში

19) გამოიყენეთ ცხრილი 2 და შეცვალეთ სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

- ა) ნიმუში: **გასულ** კვირას ვიყავი ექიმთან. **წინა** კვირას ვიყავი ექიმთან.
 გასულ ხუთშაბათს ვიმგზავრე ავტობუსით.
 წინა თვეში ვიყავით ექსკურსიაზე.
 გასულ წელს ჩავატარეთ კონკურსი.
 წინა აგვისტოს მთაში ვისვენებდი.
- ბ) ნიმუში: **მომავალ** კვირას წავალ ექიმთან. **შემდეგ** კვირას წავალ ექიმთან.
 მომავალ ხუთშაბათს ავიღებთ ხელფასს.
 შემდეგ თვეში წავალთ ექსკურსიაზე.
 მომავალ წელს ჩავატარებთ კონკურსს.
 შემდეგ აგვისტოს დავისვენებ ზღვაზე.

20) აირჩიეთ და ჩასვით კონტექსტის მიხედვით:

ორი დღის წინ იყო / ორი დღის შემდეგ იქნება

5 აპრილია. 3 აპრილი.

ორშაბათია. ოთხშაბათი.

შაბათია. ორშაბათი.

15 აგვისტო. 17 აგვისტო.

7 ნოემბერია. 5 ნოემბერი.

21) დაასრულეთ წინადადება კონტექსტის მიხედვით.

დღეს 13 ივნისია.

ა) სამი დღის შემდეგ იქნება

ბ) სამი დღის წინ იყო


დღეს ხუთშაბათია.

ა) ორი დღის წინ იყო

ბ) ორი დღის შემდეგ იქნება

22) შეავსეთ ქვემოთ მოცემული სკალები

კონტექსტის მიხედვით.




დამატებით სავარჯიშოები დროში
ორიენტაციის ასათვისებლად:

თავთავი 1. მოსწ. წიგნი: თემა 3. (გვ. 16-19)

სამუშაო რვეული: თემა 3. №1,2,3,4,9,10,12,13,14,15,16

23) ქვემოთ მოცემული სიტყვათშეხამებები დაალაგეთ ქვემოთ მოცემულ სკალაზე შესაბამისი თანამიმდევრობით.


ათი დღის წინ
წინა ღამეს
გასულ ხუთშაბათს
ერთი საათის წინ
გასულ აგვისტოს
წინა ზამთარს
გასულ წელს



ზმნის სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი (ვინიანი I)

ცხრილი 3

	ანმყო	მყოფადი	უწყვეტელი	წყვეტილი
მე	ვ.....	ვ.....	ვ.....	ვ.....
შენ
ის ა ა ა ა
ჩვენ	ვ..... თ	ვ..... თ	ვ..... თ	ვ..... თ
თქვენ (თ) (თ) (თ) (თ)
ისინი ი-ან ი-ან ი-ან ი-ან



დამატებით სავარჯიშოები
ზმნათა უღლების ასათვისებლად:
თავთავი 3. მოსწ. წიგნი: თემა 1. (გვ. 11)
 სამუშო რვეული: თემა 1. №77-83, 86-91.

24) გამოიყენეთ ცხრილი №3 და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ცხრილი 4

	მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
ანამყო	ვეხმარები					
უნყვეტელი	ვეხმარებოდი					
ნყვეტილი	დავეხმარე					
მყოფადი	დავეხმარები					

25) დაუსვით ერთმანეთს კითხვები და უპასუხეთ, როდის:

იყავი სკოლაში? გქონდა კრება? იყო სკოლაში ღონისძიება? იმგზავრე მატარებლით? იყავი ექიმთან? ნახვედი ბოლოს სტუმრად? დაისვენე ზღვაზე? იყავი თეატრში? გაარემონტე სახლი? დაიწყო ქართულის გაკვეთილი? ჩატარდა კრება?

26) მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

	წარსული	ახლანდელი	მომავალი
1. ორი წლის შემდეგ			
2. მომავალ კვირას			
3. მოცემულ მომენტში			
4. ბავშვობაში			
5. ერთი კვირის წინ			
6. შემდეგ ორშაბათს			
7. გაისად ამ დროს			
8. ამჟამად			
9. გასულ ზამთარს			
10. ახლა			
11. შარშან შემოდგომაზე			
12. წინა თვეში			
13. მიმდინარე წელს			




დამატებით სავარჯიშოები დროში ორიენტაციის ასათვისებლად:
თავთავი 1. მოსწ. წიგნი: თემა 3. (გვ. 20-21),
 სამუშაო რვეული: თემა 3. №17,18,20.

27) მონიშნეთ სწორი ვარიანტი.

- **წელიწადის რომელ დროს იწყება ახალი სასწავლო წელი?**
 - ა) გაზაფხულზე
 - ბ) შემოდგომაში
 - გ) შემოდგომაზე
 - დ) გაზაფხულში
- **როდის იყო 2008 წელი?**
 - ა) შარშანწინ
 - ბ) წელს
 - გ) შარშან
 - დ) გაისად
- **როდის იყო 2007 წელი?**
 - ა) ხუთი წლის წინ
 - ბ) ორი წლის შემდეგ
 - გ) შარშანწინ
 - დ) მომავალ წელს
- **როდის იქნება 2010 წელი?**
 - ა) ერთი წლის წინ
 - ბ) ხვალ
 - გ) მომავალ წელს
 - დ) წელს
- **დღეს ორშაბათია. რა დღე იყო გუშინწინ?**
 - ა) შაბათი
 - ბ) კვირა
 - გ) სამშაბათი
 - დ) პარასკევი
- **დღეს 10 თებერვალია. რა რიცხვი იქნება ორი დღის შემდეგ?**
 - ა) რვა
 - ბ) შვიდი
 - გ) თერთმეტი
 - დ) თორმეტი

28) ა) ქვემოთ მოცემული სიტყვები გაანაწილეთ სკალაზე.

იშვიათად ხშირად ხანდახან



ბ) გამოიყენეთ მოცემული სკალა და უპასუხეთ კითხვებს.

რა ინტენსივობით:

1. უყურებ ტელევიზორს?
2. დადიხარ კინოში?

- 3. კითხულობ გაზეთებს?
- 4. სეირნობ ველოსიპედით?
- 5. დადიხარ სტუმრად?
- 6. აწყობ შეხვედრებს სკოლაში/სახლში?
- 7. ინვევ კრებას?
- 8. სადილობ რესტორანში?
- 9. წერ წერილებს?

გ) დაუსვით კითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.

ნიმუში: ხშირად უყურებ ტელევიზორს?

29) დააკავშირეთ ერთმანეთთან.

- | | |
|-----------|----------|
| ხანდახან | ზოგჯერ |
| ყოველთვის | მეტწილად |
| იშვიათად | დროდადრო |
| ხშირად | მუდამ |

30) შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: იშვიათად ვთამაშობ ჭადრაკს. → ზოგჯერ ვთამაშობ ჭადრაკს.

- 1. მეტწილად ვიძინებ გვიან.
- 2. ყოველთვის ვკითხულობ პრესას.
- 3. ხშირად ვესწრები გაკვეთილებს.
- 4. დროდადრო ვსეირნობ ფეხით.
- 5. ზოგჯერ დავდივარ მანქანით.
- 6. მუდამ ვიღვიძებ ადრე.

31) მიუწერეთ შესაბამისი კითხვითი სიტყვები.

რამდენჯერ? როდიდან როდემდე? რამდენი ხნით?

რამდენი ხანია?

- ორიდან სამამდე
- დიდი ხნით
- დიდი ხანია
- თვეში ორჯერ
- სამშაბათიდან პარასკევამდე
- ორი დღით
- სამი წელია
- დიდიდან საღამომდე
- ცოტა ხნით

32) შეადგინეთ ათი წინადადება თქვენ შესახებ. მიუთითეთ, როდის რას აკეთებთ და რა ინტენსივობით.

ნიმუში: მე ყოველთვის ადრე ვდგები. იშვიათად ვსაუზმობ დილით. არასოდეს ვსვამ ყავას და ა.შ.

მე

33) დაუკავშირეთ პასუხები კითხვებს.


- | | |
|------------------------------|-------------|
| რამდენ ხანს გრძელდება? | ივნისამდე |
| წელიწადის რომელ დროს იწყება? | ოქტომბრიდან |
| როდემდე გრძელდება? | მაისში |
| როდის იწყება/მთავრდება? | ოთხ თვეს |
| როდიდან იწყება? | გაზაფხულზე |

34) გამუქებულ სიტყვებს დაუსვით სათანადო კითხვები.

1. სკოლების კომპიუტერიზაცია იწყება **თებერვალში**.
2. სახელმძღვანელოების შესყიდვა გრძელდება **ოთხ თვეს**.
3. სკოლების გადახურვა მთავრდება **მაისში**.
4. მე-8 სკოლის გაზიფიცირება გრძელდება **ივნისამდე**.
5. **მარტიდან** იწყება სკოლების გადახურვა.
6. **ნოემბრიდან აპრილამდე** მიმდინარეობს სკოლების აღჭურვა ინვენტარით.
7. **ნოემბრამდე** გრძელდება სკოლების რეაბილიტაცია.

35) ბლოკში მოცემული სიტყვათშეხამებები დალაგეთ ქვემოთ მოცემულ სკალაზე შესაბამისი თანმიმდევრობით.

მომავალ კვირას
ათი დღის შემდეგ
ორი ღამის შემდეგ
შემდეგ ხუთშაბათს
ნახევარი საათის შემდეგ
მომავალ ზამთარს
მომავალ წელს



36) დაუსვით ერთმანეთს კითხვები და უპასუხეთ, როდის:

იმგზავრებ მატარებლით? ნახვალ დასასვენებლად? გექნება ხელფასი? ჩაატარებ კრებას? ნახვალ სტუმრად? ნახვალ ექსკურსიაზე მოსწავლეებთან ერთად? ისადილებ? დაამთავრებ ქართულის გაკვეთილს?

37) გაეცანით პროგრამის სამოქმედო გეგმას და უპასუხეთ კითხვებს.

- პროგრამის სამოქმედო გეგმა

№	საქმიანობის აღწერა	ზამთარი			გაზაფხული			ზაფხული			შემოდგომა		
		დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
1	სკოლის სახელმძღვანელოების შესყიდვა							X	X	X	X		
2	სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია								X	X	X	X	X
3	სკოლების კომპიუტერიზაცია			X	X	X							
4	სასკოლო ჩანთების შესყიდვა							X	X	X			
5	თბილისის მე-8 საჯარო სკოლის გაზიფიცირება					X	X						
6	სკოლების გადახურვა				X	X	X						
7	სკოლების აღჭურვა ინვენტარით	X	X	X	X	X							X
8	სკოლების წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება						X	X	X	X			

- რომელია მეორე საქმიანობა?
- მერამდენე საქმიანობაა სკოლების აღჭურვა ინვენტარით?
- წელიწადის რომელ დროს არის დაგეგმილი ჩანთების შესყიდვა?
- რომელი თვიდან იწყება სახელმძღვანელოების შესყიდვა?
- რომელ თვემდე გრძელდება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია?
- რომელი საქმიანობები მთავრდება მაისში?
- წელიწადის რომელ დროს მიმდინარეობს გაზიფიცირება?
- რამდენ ხანს გრძელდება წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება?
- როდის და როდემდე გრძელდება სკოლების აღჭურვა ინვენტარით?
- რომელი საქმიანობები გრძელდება ყველაზე დიდხანს?

ყენობი სიტყვები/კომპენტაჰები

11. რომელი საქმიანობა იწყება და მთავრდება გაზაფხულზე?

38) დაუკავშირეთ ერთმანეთს.

მწირი	დაფინანსება
მიზნობრივი	ბიუჯეტი
სახელმწიფო	ხარჯვა
საერთო	ღირებულება

39) დააკვირდით ცხრილს და უპასუხეთ კითხვებს.

რვეული	ფასი
• 12-ფურცლიანი	• 10 თეთრი
• 18-ფურცლიანი	• 50 თეთრი
• 48-ფურცლიანი	• 70 თეთრი
• 100-ფურცლიანი	• 1 ლარი

- რა ღირს 12-ფურცლიანი რვეული?
- რა ღირს 48-ფურცლიანი რვეული?
- რა ღირს 100-ფურცლიანი რვეული?
- რამდენს შეადგენს ერთი 100-ფურცლიანი რვეულის ღირებულება?
- რამდენს შეადგენს ერთი 18-ფურცლიანი რვეულის ღირებულება?

40) წაიკითხეთ და უპასუხეთ კითხვებს.

- დათოს ჰქონდა 7 ლარი. მან იყიდა 10 თორმეტფურცლიანი რვეული. რამდენი დახარჯა?
- დირექციამ შეისყიდა 1000 ცალი ასფურცლიანი რვეული და 2000 ცალი თორმეტ-ფურცლიანი რვეული. რამდენი დახარჯა ასფურცლიანი რვეულებისთვის? რამდენი დახარჯა თორმეტფურცლიანი რვეულებისთვის? რამდენია საერთო საერთო ხარჯი?

41) გადახაზეთ, არასწორი სიტყვით შეხამება.

თანხის გამოყოფა. თანხის დახარჯვა. თანხის შესყიდვა. თანხის გადაცემა.

42) შემოხაზეთ ყველა შესაძლო ვარიანტი.

1. ბიბლიოთეკის რეაბილიტაციისათვის საჭიროა

- ა) ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა
- ბ) სკოლისათვის ავტობუსების გადაცემა
- გ) ფონდის განახლება
- დ) კომპიუტერის შესყიდვა
- ე) სპორტული ინვენტარის შესყიდვა

2. სპორტული ღონისძიების მოსაწყობად საჭიროა

- ა) სპორტული ინვენტარის განახლება
- ბ) სახელმძღვანელოების შესყიდვა
- გ) სპორტული ფორმების შექმნა
- დ) თანამშრომლებისათვის ხელფასის გაცემა
- ე) თანხის გამოყოფა

3. ექსკურსიაზე წასასვლელად საჭიროა

- ა) სკოლისთვის ავტობუსების გადაცემა
- ბ) ხელშეკრულებით გიდის აყვანა
- გ) მასწავლებლებისათვის ხელფასის გაცემა
- დ) სატრანსპორტო ხარჯებისათვის თანხის გამოყოფა
- ე) მოსწავლეების გაფრთხილება

43) გაეცანით პრეზიდენტის ნაციონალურ მეგაპროგრამას (გვ. 24) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

43.1. უპასუხეთ კითხვებს.

- 1. რა არის ამ მეგაპროგრამის მიზანი?
- 2. რამდენს შეადგენს მთლიანი ბიუჯეტი?
- 3. რა რაოდენობის თანხა გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან?
- 4. რა თანხა მიიღეს სხვა წყაროებიდან?
- 5. სულ რამდენი ღონისძიება განხორციელდა პროგრამის ფარგლებში?
- 6. სულ რამდენი დაიხარჯა პროგრამის ფარგლებში?

პრეზიდენტის ნაციონალური მებაჟრობრამა „იაკოზ გომეზაშვილი –
საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“

მებაჟროგრამის ბიუჯეტი

მთლიანი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა	სხვა წყაროები
24 139 400	24 139 400	0 ლარი

პროგრამის ფარგლებში განეული მიმდინარე ხარჯები

ღონისძიების დასახელება	ერთეულის დასახელება	ღონისძიების-თვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი
სასკოლო ჩანთები	ცალი	46600	14.4	670
პირველკლასელ-თა ხელმძღვანე-ლოები	კომპლექტი	42 000	27.0	1,134.000
სასკოლო ფორმები	ცალი	32 000	50.0	1,600.000
ხელშეკრულებით აყვანილი თამშრომლების ხელფასი		20	3,300.0	66 500
სულ				2.800.170

43.2. კიდევ ერთხელ გაეცანით პროგრამის ფარგლებში განეული მიმდინარე ხარჯე-ბის ცხრილს და უპასუხეთ კითხვებს.

1. რამდენი თანამშრომელი აიყვანეს ხელშეკრულებით?
2. რამდენს შეადგენს ერთი თანამშრომლის ხელფასი?
3. სულ რა თანხა გამოიყო ხელფასებისათვის?
4. რისი ფასია 27 ლარი?
5. რამდენს შეადგენს 46600 ჩანთის საერთო ღირებულება?
6. რამდენს შეადგენს 1 ცალი ჩანთის ღირებულება?
7. რა ღირს ერთი სკოლის ჩანთა?
8. რა ღირს ერთი ცალი სასკოლო ფორმა?

9. რამდენს შეადგენს სასკოლო ფორმის მთლიანი რაოდენობის საერთო ღირებულება?

44) წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლისთვის გამოიყო გარკვეული თანხა, რომელიც უკვე აითვისეთ. შეადგინეთ ხარჯების ცხრილი:

44. 1. პირველ სვეტში ჩამოწერეთ განხორციელებული ღონისძიებები და შემდეგ შეავსეთ ცხრილი.

ღონისძიების დასახელება	ერთეულის დასახელება	ღონისძიებისთვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ლარი)	ღონისძიების განხორციელების ვადა
სულ					


44. 2. მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით შეადგინეთ მოკლე ანგარიში. მიუთითეთ:

- რა ღონისძიებები ჩატარდა და რამდენ ხანში;
- რა შეისყიდეთ და რა რაოდენობით;
- რა თანხა დაიხარჯა თითოეული ღონისძიების განსახორციელებლად;
- სულ რამდენი დაიხარჯა და სხვა.

45) გამოიყენეთ ბლოკში მოცემული ზმნები და ჩასვით სათანადო ადგილას.

შეიძინა იძენდა არემონტებდა გაარემონტა ატარებდა
ჩაატარა დახარჯა ხარჯავდა

ახლანდელი დრო (დღეს)	წარსული დრო (გუშინ)	
ანმყო	უწყვეტელი (ანმყო +ოდ/დ) პროცესი	წყვეტილი შედეგი
კრებას ატარებს	კრებას	კრება
რვეულებს იძენს	რვეულებს	რვეულები
ბიუჯეტს ხარჯავს	ბიუჯეტს	ბიუჯეტი
საკლასო ოთახს	საკლასო ოთახს	საკლასო ოთახი
არემონტებს		



დამატებითი აქტივობა უწყვეტლის წარმოებაზე: თავთავი 2. (თემა 3, სიტუაცია 2) - მოსწავლის 27, ცხრილი 10, 11; სამუშაო რვეული - № 35, 37;

ცხრილი 5

საწყისი	ანმყო (ახლა)	მყოფადი (ხვალ)	უწყვეტელი (გუშინ — პროცესი)	წყვეტილი (გუშინ — შედეგი)
• ჩატარება	ტარდ-ებ-ა	ჩა-ტარდება	ტარდებ-ოდ-ა	ჩატარდ-ა
• დახარჯვა	ხარჯ-ავ-ს	და-ხარჯავს	ხარჯავ-დ-ა	დახარჯ-ა
• გარემონტება	არემონტ-ებ-ს	გა-არემონტებს	არემონტებ-დ-ა	გაარემონტ-ა
• მონყობა	ენყ-ობ-ა	მო-ენყობა	ენყობ-ოდ-ა	მოენყ-ო
• დადგმა	დგ-ამ-ს	და-დგამს	დგამ-დ-ა	დადგ-ა

46) დააკვირდით მე-5 ცხრილს და შემოხაზეთ სწორი ვარიანტები.

ა) ზმნისწინი აქვს:

1. სანყისს
2. ანმყოს
3. უწყვეტელს
4. მყოფადს
5. წყვეტილს

ბ) ჩა + ტარდება → ჩატარდება
 ზმნისწინი + ანმყო არის

1. სანყისი
2. უწყვეტელი
3. წყვეტილი
4. მყოფადი

გ) ტარდებ + ოდ-ა → ტარდებოდა
 ანმყო + -დ/-ოდ არის

1. სანყისი
2. მყოფადი
3. უწყვეტელი
4. წყვეტილი



დამატებითი აქტივობები მწკრივთა წარმოებაზე: თავთავი 2.

თემა 2: სიტუაცია 1 - მოსწავლის წიგნი გვ. 15, ცხრილი 6, 7; სამუშაო რვეული, №21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28;

თემა 3: სიტუაცია 1 - მოსწავლის წიგნი გვ. 25, ცხრილი 5, 6, 7; სამუშაო რვეული, №17, 18, 23, 24, 26, 33; სიტუაცია 3 - მოსწავლის წიგნი გვ. 29, ცხრილი 17; სამუშაო რვეული, №59, 61;

თემა 5: სიტუაცია 1 - მოსწავლის წიგნი გვ. 45, ცხრილი 1, 2, 3; სამუშაო რვეული, №3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 13; სიტუაცია 2 - მოსწავლის წიგნი გვ. 47, ცხრილი 10, 13, 14, 15, 16.

47) ქვემოთ მოცემული ზმნები ჩასვით შესაბამის მწკრივში.

ა) გადაიყვანეთ ანმყოდან მყოფადში (ზმნისწინი + ან-მყო).

- | | | |
|------------|----------|---|
| დანერა: | წერს | → |
| შეძენა: | იძენს | → |
| დასწრება: | ესწრება | → |
| მობმარება: | ეხმარება | → |
| დახატვა: | ხატავს | → |

ბ) გადაიყვანეთ მყოფადიდან ანმყოში (*მყოფადი — ზმნისწინი*).

დაზოგავს →
 შეიქმნება →
 მოაწესრიგებს →
 გადახურავს →
 გამოცვლის →

S

O

ცხრილი 6

კაცი აშენებს სახლს.

S = სუბიექტი

O = ობიექტი

S

ცხრილი 7

1. გაკვეთილი ტარდება.

S

O

2. მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს.

S

O

O

3. მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილი ჩაუტარა.

48) მე-6 და მე-7 ცხრილების გამოყენებით შეასრულეთ შემდეგი დავალება: ქვემოთ მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ სუბიექტი და ობიექტი და ნიმუშის მიხედვით დააწერეთ თავზე (S / O).

S

O

ა) ნიმუში: დირექტორი ატარებს კრებას.

1. მოსწავლე კითხულობს დავალებას.
2. მერია დაეხმარა სკოლას.
3. დირექცია წერდა წერილს.
4. ფონდი გამოყოფს თანხას.
5. მხატვარი დახატავს სურათს.

S

O

ბ) ნიმუში: სკოლამ შეიძინა მერხები.

1. ფონდმა გამოყო თანხა.
2. დირექტორმა დაწერა წერილი.
3. სპეციალისტებმა მოაწესრიგეს გათბობის სისტემა.
4. მუშებმა შეაკეთეს სახურავი.
5. მერიამ აღჭურვა სპორტული დარბაზი.

ა) ნიმუში:

S O O

მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილი ჩაუტარა.

1. მერიამ პირველკლასელებს წიგნები შეუძინა.
2. მოსწავლემ მასწავლებელს დავალეა წაუკითხა.
3. ფონდმა სკოლას თანხები გამოუყო.
4. მხატვარმა ბიჭს სურათი დაუხატა.
5. სამინისტრომ სკოლას წიგნები გადასცა.

ცხრილი 8

კაცი	- ის	კაცები	- ისინი
კაც-ს	- მას	კაცებს	- მათ
კაც-მა	- მან	კაცებმა	- მათ

49) გამოიყენეთ მე-8 ცხრილი და მოცემული არსებითი სახელები დააკავშირეთ სათანადო პირის ნაცვალსახელებთან.

სკოლას	ის/იგი
ფონდი	მათ
მერხებს	ისინი
მერიამ	მას
მოსწავლეები	მათ
კაცებმა	მან

50) მიუწერეთ სათანადო ნაცვალსახელები.

ა)

- დირექტორი
- დირექტორმა
- მასწავლებლები
- მასწავლებლებმა


ბ)

- გამგებელმა და დირექტორმა
- კომპიუტერები და სპორტული ინვენტარი
- მასწავლებელმა, მოსწავლემ და დირექტორმა
- მოსწავლე და მასწავლებელი

51) არსებითი სახელის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი ნაცვალსახელი.

ნიშუში: მასწავლებელი (ის) ატარებს გაკვეთილს.

- დირექტორები (.....) ესწრებიან ღონისძიებას.
- მასწავლებელმა (.....) ჩაატარა გაკვეთილი.
- მშობლებმა (.....) მიიღეს გადაწყვეტილება.
- მერიამ და დირექციამ (.....) მოაგვარეს პრობლემა სკოლაში.



52) გამოიყენეთ მე-9 ცხრილი და გადაანაწილეთ ბლოკში მოცემული ზმნები.

ზიანდება	აზიანებს	აკეთებს	კეთდება	იღებს	გვარდება
აგვარებს	ანესრიგებს	წესრიგდება	შენდება	აშენებს	დგინდება
ადგენს	ცვლის	იცვლება	მიმართავს	ქმნის	ხარჯავს
		იხარჯება	იძენს		

ვინიანი I	ვინიანი II

სუბიექტი და ობიექტი არ იცვლება!

ვინიანი I (-ოდ) გამონაკლისების გარდა, უწყვეტელში აქვთ -ოდ (ტარდებ-ოდ-ა).

ცხრილი 10

საწყისი	ანყო	ყოფადი	წყვეტილი
ჩატარება	ტარ-დ-ებ-ა S O ის	ჩა-ტარდება S O ის	ჩატარდ-ა S O ის
დაზოგვა	ი-ზოგება ის	დაიზოგება ის	დაიზოგა ის
შექმნა	იქმნება ის	შექმნება ის	შექმნა ის
ჩაშლა	იშლება ის	ჩაიშლება ის	ჩაიშ-ა-ლა ის
გამყოფა	გამოყოფა ის	გამოყო-ო ის
მონყობა	ენყობა ის	მოენყობა ის	მოანყო ის
დახმარება	ე-ხმარება ის მას	დაეხმარება ის მას	დაეხმარა ის მას

ე-თი დანყობულ ზმნებს აქვთ **ობიექტიც** (ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეს).

სუბიექტი და ობიექტი იცვლება!

ვინიანი II (-დ) უწყვეტელში აქვთ -დ.

ცხრილი 11

საწყისი	ანყო	ყოფადი	წყვეტილი
ჩატარება	ა-ტარებ-ს S O O ის მას	ჩაატარებს S O O ის მას	ჩაატარ-ა S O O მან ის
დაზოგვა	ზოგავს ის მას	დაზოგავს ის მას	დაზოგა S O O მან ის
შექმნა	ქმნის ის მას	შექმნის ის მას	შექმნა S O O მან ის
ჩაშლა	შლის ის მას	ჩაშლის ის მას	ჩაშალა S O O მან ის
გამყოფა	გამოყოფს ის მას	გამოყოფს ის მას	გამოყო S O O მან ის
მონყობა	ანყობს ის მას	მოანყობს ის მას	მოანყო-ო S O O მან ის
მიცემა	აძლევს ის მას მას	მისცემს ის მას მას	მისცა S O O მან ის მას
მუშაობა	მუშაობს ის	იმუშავებს ის	იმუშავა S O O მან
მიმართვა	* მიმართავს ის მას	მიმართავს ის მას	მიმართა S O O მან მას

დაიმახსოვრეთ! ამ ზმნის ობიექტი არ იცვლება.

53) გამოიყენეთ ზემოთ მოცემული ცხრილები და შეასრულეთ დავალებები ნიმუშის მიხედვით.

ა) ჩასვით მოცემული საწყისები ანმეოში და შეუწყვეთ პირები.

ნიმუში: ჩატარება $\begin{cases} \rightarrow \text{ტარდება ის (ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{ატარებს ის მას (ვინიანი II)} \end{cases}$

მონყობა $\begin{cases} \rightarrow \text{(ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{(ვინიანი II)} \end{cases}$

ჩაშლა $\begin{cases} \rightarrow \text{(ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{(ვინიანი II)} \end{cases}$

ბ) ჩასვით მოცემული საწყისები ნყვეტილში და შეუწყვეთ პირები.

დაზოგვა $\begin{cases} \rightarrow \text{(ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{(ვინიანი II)} \end{cases}$

შექმნა $\begin{cases} \rightarrow \text{(ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{(ვინიანი II)} \end{cases}$

გ) ჩასვით მოცემული საწყისები უწყვეტელში და შეუწყვეთ პირები.

ჩატარება $\begin{cases} \rightarrow \text{(ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{(ვინიანი II)} \end{cases}$

დაზოგვა $\begin{cases} \rightarrow \text{(ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{(ვინიანი II)} \end{cases}$

ცხრილი 12

უწყვეტელი = ანმეოს + $\begin{cases} \rightarrow \text{-ოდ (ვინიანი I)} \\ \rightarrow \text{-დ (ვინიანი II)} \end{cases}$

54) გამოიყენეთ მე-10, მე-11, მე-12 ცხრილები და გადაიყვანეთ წყვეტილიდან უწყვეტელში.

1. ჩაატარა მან ის
2. გამოყო მან ის
3. შეიქმნა ის
4. შეიძინა მან ის
5. იმუშავა მან
6. ჩაიშალა ის
7. მიმართა მან მას
8. დაეხმარა ის მას
9. დაიზოგა ის
10. მისცა მან მას ის

55) გამოიყენეთ მე-11 ცხრილი, აირჩიეთ და ჩასვით შესაბამისი მწკრივის ფორმა.

- სკოლამ სათანადო თანხები (გამოყოფს / გამოყო).
- მე-5 საჯარო სკოლა აქციას (ანყოფს / მოაწყო).
- დირექციამ მერიას თხოვნით (მიმართავს / მიმართა).
- სამეურვეო საბჭო დირექტორს დავალებას (მისცა / აძლევს).
- სკოლამ რემონტზე ათასი ლარი (დაზოგა / ზოგავს).

56) გამოიყენეთ მე-10, მე-11 ცხრილები და მოცემული წინადადებები გადაიყვანეთ წყვეტილში.

წიმუში: ბიჭი წერს დავალებას. → ბიჭმა დაწერა დავალება.

- დირექტორი ატარებს კრებას. →
- სკოლაში იქმნება კომისია. →

- მერია აძლევს სკოლას კომპიუტერებს. —>
- დირექცია აწყობს ღონისძიებას. —>
- სკოლაში იშლება სასწავლო პროცესი. —>

57) გამოიყენეთ ბლოკში მოცემული მასალა და ცხრილების დახმარებით შეადგინეთ წინადადებები.

შექმნა (კომისია, დირექტორი)
 ჩატარება (გაკვეთილი, მასწავლებელი)
 გამოყოფა (თანხა, დირექცია)
 გარემონტება (სკოლა, მერია)
 ჩაშლა (გაკვეთილი, მოსწავლე)

	ვინიანი I	ვინიანი II
ანმყო	1. კომისია იქმნება. 2. 3. 4. 5.	1. დირექტორი ქმნის კომისიას. 2. 3. 4. 5.
უწყვეტელი	1. კომისია იქმნებოდა. 2. 3. 4. 5.	1. დირექტორი ქმნიდა კომისიას. 2. 3. 4. 5.
წყვეტილი	1. კომისია შეიქმნა. 2. 3. 4. 5.	1. დირექტორმა შექმნა კომისია. 2. 3. 4. 5.
მყოფადი	1. კომისია შეიქმნება. 2. 3. 4. 5.	1. დირექტორი შექმნის კომისიას. 2. 3. 4. 5.

58) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები.

მინისტრის ვიზიტი სამეგრელოს რეგიონში

2009 წლის 31 იანვარს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში იმყოფებოდა.

მინისტრმა მონინახულა სტიქიის შედეგად დაზიანებული ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლა და ადგილზე გაეცნო აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას.

სოფელ ცაიშის სკოლაში 300-მდე მოსწავლე სწავლობს. 2008 წელს მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა. სულ დაიხარჯა 150 000 ლარი. ქარიშხალმა მნიშვნელოვნად დააზიანა სკოლის შენობა და სახურავი.

მინისტრმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის ახლადრეაბილიტირებული სკოლაც გახსნა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ დაფინანსებით ჭაქვინჯის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა ადგილობრივი თვითმართველობის მიერ. სულ დაიხარჯა 800 000 ლარი. ჭაქვინჯის საჯარო სკოლაში 260 მოსწავლე ახალ გარემოში გააგრძელებს სწავლას.

მეორე დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ზუგდიდის 1 საჯარო სკოლაში შეხვდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 300-მდე პედაგოგს. მინისტრმა ისაუბრა რეგიონისათვის აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე, მასწავლებელთა ხელფასის გაზრდაზე და სხვა.

შეხვედრის ბოლოს მონისტრმა სერტიფიკატები გადასცა პრეზიდენტის სტიპენდიანტ 56 პედაგოგს.

ლონისძიებას უსწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსები.

58.1. მონიშნეთ სათანადო უჯრა.

	სოფელ ცაიშის სკოლა	სოფელ ჭაქვინჯის სკოლა
სტიქიამ დააზიანა		
მცირეკონტინგენტიანია		
ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია		
ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია		
სკოლის აღდგენა დაფინანსდა მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში		
სკოლის აღდგენისათვის დაიხარჯა რვაასი ათასი ლარი		
სკოლის აღდგენა დასრულებულია		

58. 2. მონიშნეთ, სწორია თუ არა ინფორმაცია. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

	სწორია	არასწორია
1. მინისტრი სამეგრელოს რეგიონში იმყოფებოდა გაზაფხულზე.		
2. მინისტრი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამ სკოლაში იყო.		
3. ზუგდიდის №1 საჯარო სკოლაში ღონისძიება მოეწყო 31 იანვარს.		
4. სამეგრელო-ზემო სვანეთის რესურსცენტრების უფროსები 1 თებერვალს ზუგდიდში ღონისძიებას ესწრებოდნენ.		
5. პრეზიდენტის სტიპენდია აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 300 პედაგოგს.		

წარმოდგენილ ორ წერილზე დაყრდნობით შეასრულეთ ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები

წერილი 1.

საქართველოში მოღვაწე საქველმოქმედო ორგანიზაცია „ლამპრის“ პრეზიდენტს, ბატონ გიორგი რატიანს

ბატონო გიორგი,

I. მოგახსენებთ, რომ გასული წლის წყალდიდობამ ჩვენი სკოლის შენობა ძალიან დააზარალა. განსაკუთრებით დაზიანდა სპორტული დარბაზი და სკოლის ბიბლიოთეკა.

II. სკოლის დირექციამ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით შექმნა კომისია. კომისიამ შეისწავლა არსებული ვითარება და შეადგინა სათანადო ხარჯთაღრიცხვა. როგორც დადგინდა, სკოლის აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა დაახლოებით 10500 ლარი. სკოლას კი ამისათვის არა აქვს საჭირო სახსრები. პირველ რიგში დახმარებისათვის გამგეობის სამსახურს მივმართეთ. გამგეობამ დახმარებისათვის მხოლოდ 2000 ლარი გამოგვიყო. გარდა ამისა, დახმარების სურვილი გამოთქვეს მშობლებმა და ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმაც. ისინი მზად არიან, რომ ანაზღაურების გარეშე მონაწილეობა მიიღონ სამშენებლო სამუშაოებში.

III. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, 3000 ლარია საჭირო სახურავის გამოსაცვლელად, 4000 ლარი — ბიბლიოთეკის აღსადგენად, რადგან ყველაზე მეტად ის დაზიანდა სტიქიის შედეგად და 2500 ლარი — სპორტული დარბაზის გასარემონტებლად და შესაბამისი ინვენტარის შესაძენად.

IV. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება, დაგვეხმაროთ და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მოგვცეთ 8500 ლარი.

V. ხარჯთაღრიცხვა და ფოტომასალა დანართის სახით ახლავს ჩვენს წერილს.

VI. იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა, რისთვისაც ჩვენი სკოლის სახელით წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,
გორის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი
მანანა ახვლედიანი

საქველმოქმედო ორგანიზაცია „იმედის“
პრეზიდენტს

I. მოგმართავთ უძველესი და დიდი ტრადიციის მქონე ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის სახელით. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თქვენმა ორგანიზაციამ სხვა დროს არაერთხელ გამოიჩინა გულისხმიერება და სათანადო დახმარება გაუწია არაერთ სკოლას. ამის გამო გადავწყვიტეთ მოგმართოთ თხოვნით დახმარებისათვის.

II. საქმე ეხება ჩვენი სკოლის შენობას, რომელიც გასული წლის წყალდიდობამ დააზიანა. განსაკუთრებით დაზარალდა სკოლის სპორტული დარბაზი და ბიბლიოთეკა. წყალდიდობის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა კომუნიკაციები. ბიბლიოთეკაში ჩამოინგრა ბათქაში. მოსწავლეები ბიბლიოთეკით ველარ სარგებლობენ. პატარა წვიმის დროსაც კი სახურავიდან დღემდე ჩამოდის წყალი. იატაკი მთლიანად შესაცვლელია. მძიმე მდგომარეობაშია სპორტული დარბაზიც.

III. იმის გამო, რომ სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი, სპორტულ დარბაზს ვიყენებდით სხვა სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლადაც. ასე რომ, დღეს ჩაშლილია როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი ღონისძიებები. გარდა ამისა, დარბაზში ფუნქციონირებდა ცეკვისა და ჭადრაკის წრეები, რომლებიც ჯერჯერობით გაუქმებულია. ფაქტობრივად, წყალდიდობის შემდეგ სკოლაში შეფერხებულია სასწავლო პროცესი.

IV. მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს სკოლას დიდი ტრადიცია აქვს. სკოლის მდიდარი წარსული ასახულია იმ უნიკალურ სამუზეუმო მასალებში, რომლებიც გამოფენილი იყო სკოლის ბიბლიოთეკაში. აღსანიშნავია, რომ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ერთ-ერთი საუკეთესო და მდიდარია ჩვენს ქალაქში. გარდა ამისა, აქ ინახება ქ. ბათუმში გამოცემული პირველი პერიოდული ჟურნალის ეგზემპლარები. ბიბლიოთეკაში ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოსაცემად მომზადებული ლიტერატურული კრებულის მასალები. დაზიანებული ბიბლიოთეკის პირობებში ამ ყველაფერს განადგურება ემუქრება.

V. გთხოვთ, დაგვეხმაროთ და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მოგვცეთ 8000 ლარი. აქედან 2000 ლარს გამოვიყენებთ სპორტული დარბაზის აღსადგენად, 3000 ლარს — ბიბლიოთეკის შესაკეთებლად, 3000 ლარს კი — ინვენტარის შესაძენად.

VI. იმედია, თქვენი ორგანიზაცია უარს არ გვეტყვის დახმარებაზე. წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისა და თანაგრძნობისათვის.

სკოლის დირექტორი

გეგი სამსონია

აქტივობები № 1 და № 2 წერილებისთვის

1) უპასუხეთ კითხვებს:

- ვინ წერს წერილს?
- ვის სწერს (სახელი, გვარი, თანამდებობა)?

2) ქვემოთ ჩამოთვლილია საქმიანი წერილის აუცილებელი კომპონენტები.

წაიკითხეთ და ჩაწერეთ უჯრებში შესაბამისი ასოები.

- | | |
|--------------------------|--------------------------|
| ა. ავტორის თანამდებობა | ე. დამასრულებელი ფორმულა |
| ბ. ძირითადი ტექსტი | ვ. ხელმოწერა |
| გ. ადრესატის თანამდებობა | ზ. მიმართვის ფორმულა |
| დ. ადრესატის ვინაობა | |

<input type="text"/>	1.
<input type="text"/>	2.
	3. <input type="text"/>
4. <input type="text"/>

	5. <input type="text"/>
6. <input type="text"/> <input type="text"/> 7.

3) კიდევ ერთხელ გაეცანით წერილებს. რომელ წერილს აკლია კომპონენტები? დაასახელეთ ისინი.

წერილი 1.	
წერილი 2.	

4) განსაზღვრეთ პირველი წერილის საკომუნიკაციო სიტუაცია (წერილის ავტორი და ადრესატი, წერილის მიზანი).

- ვინ არის ავტორი?
- ვინ არის ადრესატი?
- რა არის წერილის მიზანი?

5) განსაზღვრეთ მეორე წერილის საკომუნიკაციოსაკომუნიკაციო სიტუაცია (წერილის ავტორი და ადრესატი, წერილის მიზანი).

- ვინ არის ავტორი?
- ვინ არის ადრესატი?
- რა არის წერილის მიზანი?


6) თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს უნდა შეიცავდეს ამ ტიპის საქმიანი წერილი? მიუწერეთ + ან — ; შეადარეთ პასუხები და იმსჯელეთ.

- ა. მოკითხვა
- ბ. სკოლის დირექტორის ბიოგრაფიული მონაცემები
- გ. პრობლემური სიტუაციის აღწერა
- დ. კონკრეტული დახმარების თხოვნა
- ე. მასწავლებლების რაოდენობა
- ვ. მოსწავლეების რაოდენობა
- ზ. კათედრების მუშაობის განრიგი
- თ. მაღლობის გადახდა


7) დაუბრუნდით პირველ წერილს და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

7.1. მოიძიეთ ინფორმაცია პირველ მონაკვეთში:


- რომელი სკოლა დაზიანდა?
- რამ დააზიანა სკოლა?



7.2. II მონაკვეთში მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:



7.3. II მონაკვეთში მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:




7.4. II, III და IV მონაკვეთში მოიძიეთ შემდეგი

ინფორმაცია:

- ა) სულ რა თანხა სჭირდება სკოლის გარემონტებას?
- ბ) რამდენს აძლევს სკოლას გამგეობა?
- გ) რამდენს ითხოვს დირექტორი „ლამპრის“ პრეზიდენტისგან?

7.5.




8.4. IV მონაკვეთში მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:



.....

.....

8.5. II მონაკვეთში მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:




.....

.....

8.6. V მონაკვეთში მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სულ რა თანხა სჭირდება სკოლის გარემონტებას?
- ბ) რამდენს ითხოვს გეგი სამსონია „იმედის“ პრეზიდენტისგან?

8.7.



.....

.....

9) თავიდან წაიკითხეთ წერილი და შეავსეთ ცხრილი.

რა გაკეთდა წერილის დაწერამდე?	რა გაკეთდება წერილის დაწერის შემდეგ, თუ სკოლა მიიღებს 8000 ლარს?

10) კიდეჳ ერთხელ გაეცანით ორივე წერილს და ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამის უჯრაში ჩანერეთ + ან — იმის მიხედვით, თუ რას შეიცავს (არ შეიცავს) თითოეული წერილი.

	წერილი 1	წერილი2	
პრობლემების ზოგადი აღწერა			<hr/> <hr/>
განმარტება, თუ რატომ მიმართავენ კონკრეტულად ამ ორგანიზაციას			<hr/> <hr/>
ზარალის დეტალური აღწერა			<hr/> <hr/>
სასწავლო პროცესთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების აღწერა			<hr/> <hr/>
სკოლის ღირსებების წარმოჩენა			<hr/> <hr/>
თავად სკოლის მიერ პრობლემის გადასაჭრელად მიღებული ზომების აღწერა			<hr/> <hr/>
ხარჯთაღრიცხვაზე დაფუძნებით საჭირო თანხის დასახელება			<hr/> <hr/>
თანხის დასახელება იმის მითითების გარეშე, რის მიხედვით დადგინდა ეს თანხა			<hr/> <hr/>
იმის აღწერა, თუ როგორ გამოიყენებენ ამ თანხას			<hr/> <hr/>
კონკრეტული თანხის მოთხოვნა			<hr/> <hr/>
წინასწარ მადლობის გადახდა			<hr/> <hr/>

11) წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მახასიათებლები და საკომუნიკაციო მიზნის გათვალისწინებით გაანალიზეთ ისინი ცხრილში. იმსჯელეთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

- ა. იცავს საქმიანი წერილის ფორმალურ მხარეს
- ბ. არ იცავს საქმიანი წერილის ფორმალურ მხარეს
- გ. დეტალურად აღწერს, რა დაზიანდა
- დ. ზოგადად აღწერს პრობლემას
- ე. აღწერს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს
- ვ. წარმოადგენს სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით შედგენილ ხარჯთაღიწმევას
- ზ. აღწერს, როგორ გამოიყენებს თანხას ხარჯთაღიწმევის საფუძველზე
- თ. არ აჩვენებს, რის მიხედვით ადგენს თანხებს
- ი. ხაზს უსვამს სკოლის ინიციატივას პრობლემის გადაჭრის საქმეში
- კ. არაფერს ამბობს სკოლის ინიციატივაზე

წერილი 1.	
ძლიერი მხარეები	
სუსტი მხარეები	

წერილი 2	
ძლიერი მხარეები	
სუსტი მხარეები	

12) თანხის მოპოვების მიზნით დირექტორები ცდილობენ წერილში დაასაბუთონ, რომ სკოლას ნამდვილად სჭირდება თანხა. ამისათვის მათ მოჰყავთ არგუმენტები. წაიკითხეთ ქვემოთ ჩამოთვლილი არგუმენტები და სათანადოდ გაანალიზეთ უჯრებში.

- 1. დაზიანდა სკოლის მატერიალური რესურსი
- 2. სკოლა ქმედობაუნარიანია, იჩენს ინიციატივას
- 3. სკოლას დიდი ტრადიციები აქვს
- 4. შეფერხდა სასწავლო პროცესი

15) შემოხაზეთ სწორი პასუხი.

- გორის № 3 საჯარო სკოლის დირექციამ კომისია შექმნა (რისთვის?) ვითარების შესასწავლად / ხარჯთაღრიცხვის შესადგენად
- გორის №3 საჯარო სკოლის დირექციის აზრით, 3000 ლარია საჭირო (რისთვის?) სახურავის გამოსაცვლელად / ბიბლიოთეკის შესაკეთებლად
- გორის №3 საჯარო სკოლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, 2500 ლარია საჭირო (რისთვის?) სპორტული დარბაზის გასარემონტებლად / ინვენტარის შესაძენად
- ბათუმის №2 საჯარო სკოლა სპორტულ დარბაზს იყენებდა (რისთვის?) ღონისძიებების ჩასატარებლად / მასალების შესანახად

16) აწარმოეთ ნიმუშის მიხედვით:

ა. **ნიმუში:** აშენება → ა-სა-შენებ-ლ-ად

- შეკეთება → შე-სა-
- გარემონტება → გა-
- ჩატარება → ჩა-
- ამუშავება → ა-
- მოგვარება → მო-
- მომზადება → მო-
- გამოყენება → გამო-
- დაბინავება → და-

ბ. **ნიმუში:** აღდგენა აღ-სა-დგენ-ად

- მიღება → მი-სა-
- შედგენა → შე-
- შესწავლა → შე-
- გამოყოფა → გამო-
- მოწვევა → მო-
- შერჩევა → შე-
- შექმნა → შე-

! დამახსოვრე: შექმნა — შესაქმნელად
შეცვლა — შესაცვლელად

17) აწარმოეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: დირექციამ შექმნა კომისია/ზარალის შესწავლა

დირექციამ შექმნა კომისია ზარალის შესასწავლად

- მერიამ გამოყო თანხა / სახურავის შეკეთება
.....
- მოიწვიეს მშობლები / ღონისძიებაში მონაწილეობის
მიღება
- შეადგინეს სია / სტუმრების მოწვევა
.....

- მასნავლებელი მოემზადა / გაკვეთილის ჩატარება
- მიღებული თანხა გამოიყენეს / პრობლემის მოგვარება
- მოიწვიეს სპეციალისტი / ზარალის შესწავლა
- ადგილი გამოყვეს / წიგნების დაბინავება
- კათდრის სხდომა ჩაატარეს / სახელმძღვანელოების შერჩევა

17) შეაერთეთ ნიმუშის მიხედვით.


საჭიროა

სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად
 ვითარების შესასწავლად
 ხარჯის დასადგენად
 იატაკის შესაცვლელად

- ხარჯთაღრიცხვის შედგენა
- თანხის გამოყოფა
- სპორტული დარბაზის აღდგენა
- კომისიის შექმნა

18) შეარჩიეთ და მიუწერეთ ნიმუშის მიხედვით.

ადგილის დოკუმენტაციის ვითარების ზარალის თანხის ინვენტარის
 კრების მერხების დომარეობის ოქმის პრობლემის სპეციალისტების
 სამუშაოების სტუმრის ღონისძიების ხარჯთაღრიცხვის წერილის წიგნების



19) გამოიყენეთ წინა სავარჯიშოს მასალა, შეარჩიეთ სათანადო ვარიანტი და დაასრულეთ წინადადებები.

- მდგომარეობის შესასწავლად საჭიროა
- პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა
- თანხის გამოსაყოფად საჭიროა
- ინვენტარის შესაძენად საჭიროა
- მიზეზების გასარკვევად საჭიროა
- ღონისძიების ჩასატარებლად საჭიროა

20) დააკავშირეთ ერთმანეთთან.


- | | |
|----------|------------------------|
| გაუქმდა | ხელი შეუწყო |
| დაეხმარა | მწყობრიდან გამოვიდა |
| გაფუჭდა | ფუნქციონირება შეწყვიტა |

21) მოცემული საწყისები ჩასვით სათანადო ადგილას.

მიყენება შეწყობა მიღება ჩატარება გამოყოფა მოგვარება მიქცევა

- ღონისძიების
- მონაწილეობის
- ყურადღების
- კომისიის
- ზიანის
- ხელის
- პრობლემის

22) გამოიყენეთ შესაბამისი ინფორმაცია და შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.



ნიბუბი: სკოლამ თავისი ინიციატივით შეიძინა სკოლის მერხები.

.....

.....

.....

.....

.....

23) ქვემოთ მოცემული ინფორმაციების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

ვინ რა გააკეთა და რისთვის
(შეგიძლიათ გამოიყენოთ ზმნური ლექსიკონი, გვ. 125)

ვინ	გაკეთა	რა	რისთვის
საქველმოქმედო ფონდი სამეურვეო საბჭო დირექცია კომისია	გადარიცხვა დაზოგვა დახარჯვა გამოყოფა ჩატარება შესწავლა შედგენა მონვევა შეძენა	ინვენტარი თანხა ხარჯთაღრიცხვა ვითარება 1000 ლარი 500 ლარი კრება სპეციალისტები	თანხის გამოყოფა შენობის შეკეთება წიგნადი ფონდის აღდგენა პრობლემის შესწავლა ხარჯთაღრიცხვის შედგენა სარემონტო მასალის შეძენა სპეციალისტების მონვევა ბიბლიოთეკის განახლება ინვენტარის შეცვლა სარემონტო სამუშაოების ჩატარება ზარალის დადგენა საკითხის გადაჭრა

ნიბუბი: კომისიამ შეისწავლა ვითარება ზარალის დასადგენად.

.....

.....

.....

.....

.....

24) ა) ნაიკითხეთ, შეადარეთ და გაანალიზეთ.

1.

დაზიანდა შენობა.
 გაუქმდა სასწავლო პროცესი.
 შეიქმნა სათანადო კომისია.
 გამოიყო თანხა.

2.

მინისტრამ დააზიანა შენობა.
 მერიამ გააუქმა სასწავლო პროცესი.
 დირექციამ შექმნა სათანადო კომისია.
 ფონდმა გამოყო თანხა.

ბ) შემოხაზეთ სწორი პასუხი.

მიუთითებს მხოლოდ ფაქტზე და არ ჩანს, ვინ გააკეთა

- ცხრილი 1
- ცხრილი 2

25) გაანალიზეთ ქვემოთ მოცემული ზმნები (შეგიძლიათ, გამოიყენოთ ზმნური ლექსიკონი).

დაზარალდა	ჩაშალა	შეაკეთა	გაანადგურა	გაფუჭდა	დააზარალა
მოგვარდა	გადაჭრა	ჩაატარა	განადგურდა	მოშალა	დახარჯა
დაინგრა	მოაგვარა	ჩაიშალა	გადაიჭრა	შეკეთდა	გააფუჭა
ჩატარდა	დაიხარჯა	მოიშალა	დაანგრია		განახლდა

ის

მან ის

26) აირჩიეთ და ჩასვით შესაბამისი ფორმა:

დაზიანდა / დააზიანა

ნიმუში: სტიქიამ სკოლის ბიბლიოთეკა დააზიანა, სკოლის ბიბლიოთეკა დაზიანდა.

ჩაშალა / ჩაიშალა

- შექმნილი მდგომარეობის გამო სასწავლო პროცესი

- ავარიულმა მდგომარეობამ სასწავლო პროცესი

განაახლა / განახლდა

- წიგნადი ფონდი
- სკოლამ წიგნადი ფონდი

განადგურა / განადგურდა

- სპორტული ინვენტარი
- ხანძარმა სპორტული ინვენტარი

მოგვარდა / მოაგვარა

- შექმნილი პრობლემა
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნილი პრობლემა

27) შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: შეიქმნა: შეიქმნა კომისია

შექმნა: სამეურვეო საბჭომ შექმნა კომისია

- ჩატარდა:
- ჩაატარა:
- გადაიჭრა:
- გადაჭრა:
- გამოიყო:
- გამოყო:
- დაზიანდა:
- დააზიანა:
- გადაირიცხა:
- გადარიცხა:
- მოგვარდა:
- მოაგვარა:
- განახლდა:
- განაახლა:

28) წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლა სტიქიამ დააზარალა. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ზმნები და დაწერეთ, კონკრეტულად რა მოხდა.

დააზიანა	განახლდა	შეისწავლა	ჩაიშალა
შეადგინა	გაუქმდა	შეაკეთა	შეცვალა
განაახლა	გააფუჭა	შეიცვალა	გადაიჭრა
			მოგვარდა

სტიქიამ

.....

..... ავარიული მდგომარეობის გამო

.....

სკოლის დირექციამ თავისი ხარჯებით

.....

მერიის დახმარებით

.....

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ

.....

29) დაწერეთ ნიმუშის მიხედვით, ვინ რა გააკეთა (შეგიძლიათ, გამოიყენოთ ზმნური ლექსიკონი).

თანხის გამოყოფა	ინვენტარის შექმნა
სახურავის შეკეთება	ვითარების შესწავლა

მერიამ შეიძინა ინვენტარი

საქველმოქმედო ფონდმა

კომისიამ

ჩვენ

- კომისიამ -----

- სპეციალისტების ჯგუფმა -----

- საქველმოქმედო ფონდმა -----

- რესურსცენტრმა -----

- ადგილობრივმა ხელისუფლებამ -----

ცხრილი 2

წყვეტილი (რა გააკეთა?)	II კავშირებითი (რა გააკეთოს?)
მან ის	მან ის
გამოყ-ო	გამოყ-ო-ს
შეისწავლ-ა	შეისწავლ-ო-ს

31) გამოიყენეთ ცხრილი № 2 და მოცემული ზმნები გადაიყვანეთ II კავშირებითში.

- შეადგინა →
- შეიძინა →
- მოიწვია →
- განაახლა →
- შეცვალა →
- ჩაატარა →

32) 30-ე სავარჯიშოში მიღებული წინადადებები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეყოს თანხა.

- სკოლამ -----

- დირექციამ -----

- სამეურვეო საბჭომ -----

- მშობელთა კომიტეტმა -----

- კომისიამ -----

- სპეციალისტების ჯგუფმა -----

- საქველმოქმედო ფონდმა -----

- რესურსცენტრმა -----

- ადგილობრივმა ხელისუფლებამ -----

ცხრილი 3

მიიღო გადაწყვეტილება, რომ უნდა, აუცილებელია, საჭიროა... } + II კავშირებითი + რისთვის?
 -ისთვის სა-ად

33) მოცემულ წინადადებებს დაუმატეთ ახალი ინფორმაცია, ანუ რისთვის მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

ნიმუში: მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეყო თანხა ზარალის ასანაზღაურებლად.

- სკოლამ -----

- დირექციამ -----


- სამეურვეო საბჭომ -----

- მშობელთა კომიტეტმა -----

- კომისიამ -----

- საქველმოქმედო ფონდმა -----

34) დააკავშირეთ ერთმანეთთან, ვინ რა უნდა გააკეთოს?



35) ქვემოთ მოცემული ზმნები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

ა) ნიმუში: ჩატარდ-ა ის —> ჩატარდ-ე-ს ის

- აღდგა ის —>
- განახლდა ის —>
- შეკეთდა ის —>
- დაზიანდა ის —>

ბ) ნიმუში: დაიხარჯ-ა ის —> დაიხარჯ-ო-ს ის

- შეიცვალა ის —>
- მოიშალა ის —>
- გადაირიცხა ის —>

გ) ნიმუში: გადაიჭრ-ა ის —> გადაიჭრ-ა-ს ის

- შეიქმნა ის —>

36) ჩასვით ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ვითარების შესასწავლად უნდა გამოიყოს კომისია (კომისიის გამოყოფა)

- თანხის გამოსაყოფად უნდა -----
----- (ხარჯლალრიცხვის შექმნა)
- ზარალის ასანაზლაურებლად უნდა -----
----- (თანხის გამოყოფა)
- ნორმალური ფუნქციონირებისათვის უნდა -----
----- (დარბაზის აღდგენა)
- დარბაზის აღსადგენად უნდა -----
----- (სარემონტო სამუშაოების ჩატარება)
- ბიბლიოთეკის ასამუშავებლად უნდა -----
----- (წიგნადი ფონდის განახლება)

37) დააკონკრეტეთ, ვინ უნდა გააკეთოს ეს და შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ვითარების შესასწავლად დირექციამ უნდა შექმნას კომისია.

- თანხის გამოსაყოფად -----
- ზარალის ასანაზლაურებლად -----
- ნორმალური ფუნქციონირებისათვის -----

- დარბაზის აღსადგენად -----
- ბიბლიოთეკის ასამუშავებლად -----

38) გაეცანით სიტუაციას: ხანძრის შედეგად დაინვა სკოლის ბიბლიოთეკა. დაზიანდა წიგნადი ფონდი. განადგურდა ინვენტარი. მწყობრიდან გამოვიდა კომუნიკაციები. დაინვა სახურავი და იატაკი.

გამოიყენეთ ზმნური ლექსიკონი და ჩაწერეთ, თქვენ რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ აღდგეს სკოლის ნორმალური მუშაობა.

პირველ რიგში ჩვენ უნდა

.....

.....

.....

ამის შემდეგ

.....

.....

.....

39) მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით შეადგინეთ ტექსტი.

ა) ფრჩხილებში მოცემული სანყისები ჩასვით სათანადო ფორმაში.

1. რა მოხდა სტიქიის შედეგად?

- ზოგადად რა ----- (დაზარალება)?
- უფრო კონკრეტულად რა ----- (განადგურება, გაფუჭება, მოშლა)?

2. რა მდგომარეობაა მოცემულ მომენტში/ახლა?

- ამის გამო რა არ ----- (ჩატარება, მუშაობა, ფუნქციონირება)?

3. რა გაკეთდა პრობლემის მოსაგვარებლად?

- რესურსცენტრის დახმარებით ჩვენ რა ----- (შეძენა, გამოცვლა, შეკეთება)?
- მერიამ რისთვის ----- (თანხის გამოყოფა)?
- დირექციამ რა/ვის? ----- (შექმნა, მონვევა, შესწავლა) და რისთვის?

4. რას გააკეთებთ კიდევ დახმარების შემთხვევაში?

- დახმარების შემთხვევაში ჩვენ რას ----- (შეძენა, განახლება, შექმნა)?

5. რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად?

- ჩემი აზრით, პირველ რიგში, რა უნდა ----- (შეცვლა, შეკეთება)?
- ამისათვის სკოლამ რა/ვის? უნდა ----- (შექმნა, ჩატარება, შესწავლა, მიმართვა) და რისთვის?

ბ) გამოიყენეთ ა)-ში მოცემული მასალა და დაწერეთ ტექსტი.

სტიქიის შედეგად -----

კონკრეტულად -----

ამის გამო არ -----

ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა -----

ამისათვის სკოლამ უნდა -----

პრობლემის მოსაგვარებლად მერიამ -----

დირექციამ -----

რესურსცენტრის დახმარებით ჩვენ -----

დახმარების შემთხვევაში ჩვენ კიდევ -----

40) დააკვირდით ქვემოთ მოცემულ კონსტრუქციებს და შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

იმედი გვაქვს + მყოფადი
(რას იზამ?)

გთხოვთ + II კავშირებითი
(რა ქნათ?)

მადლობას გიხდით + ...-თვის
(რისთვის?)

1. იმედი გვაქვს

ა) გამოიჩინეთ ბ) გამოიჩინოთ გ) გამოიჩინთ

2. გთხოვთ

ა) დაგვეხმარებით ბ) დაგვეხმაროთ გ) გვეხმარებით

3. მადლობას გიხდით

ა) თანაგრძნობაზე ბ) თანაგრძნობის გამო
გ) თანაგრძნობისათვის

41) აირჩიეთ და შემოხაზეთ.

ა) იმედი გვაქვს

1. თქვენი გულისხმიერებისთვის
2. გამოიჩინეთ გულისხმიერებას
3. გამოიჩინოთ გულისხმიერება

ბ) გთხოვთ

1. გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა
2. გაითვალისწინებთ ჩვენს მდგომარეობას
3. უარს არ გვეტყვიტ დახმარებაზე

გ) წინასწარ გიხდით მადლობას

1. ჩვენს დახმარებაზე
2. დახმარებისათვის
3. ჩვენი დახმარების გამო

42) შემოხაზეთ სწორი ვარიანტი და დაასრულეთ წინადადება.

ა) იმედი გვაქვს, უარს არ გვეტყვიტ დახმარებაზე და ...

1. რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას
2. გაგვიჩინეთ სათანადო დახმარება
3. გამოგვიყოფთ სათანადო თანხას

ბ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა და ...

1. წინასწარ გიხდით მადლობას
2. დახმარების სახით გამოგვიყოფთ სათანადო თანხას
3. მოგვცეთ სათანადო თანხა

გ) გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება ...

1. და გაგვინვეთ სათანადო დახმარებას
2. და დახმარების სახით გამოგვიყავით სათანადო თანხა
3. და დაგვეხმაროთ

43) აირჩიეთ და ჩასვით კონტექსტის მიხედვით.

1. გამოიჩინეთ გულისხმიერებას / გამოიჩინოთ გულისხმიერება

იმედი გვაქვს,, რისთვისაც გიხდით მადლობას.
გთხოვთ,და დაგვეხმაროთ.

2. გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა / გაითვალისწინებთ ჩვენს მდგომარეობას

იმედი გვაქვს, და გაგვინვეთ სათანადო დახმარებას.
გთხოვთ, და დახმარების სახით გამოგვიყოფთ სათანადო თანხა.

44) წაიკითხეთ წერილი და ჩასვით ბლიკში მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას.

ანადგურებს გამოყოთ გასარემონტებლად გთხოვთ
დაანგრია გიხდით დაზიანდა დავხარჯავთ
მოგახსენებთ ფუნქციონირებს შესაძენად

ორგანიზაცია „ლამპარის“ დირექტორს

..... (1), რომ ბათუმის 1 სკოლა მდებარეობს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მდინარე უერთდება ზღვას და სკოლა მის სიახლოვესაა. სკოლაში სწავლობს 330 მოსწავლე, რომელთა აღზრდა-განათლებას ემსახურება 39 პედაგოგი და 19 დამხმარე პერსონალი.

გასული წლის კოკისპირულმა წვიმებმა მდინარის ადიდება გამოიწვია. მოგეხსენებათ, რომ ბათუმი ნალექის რაოდენობით ერთ-ერთი პირველია ქვეყანაში. ადიდებულმა მდინარემ გადმოლახა კალაპოტი, სპორტული მოედნის ღობე (2) და მოედანი დატბორა. ასე რომ, სპორტული მოედანი არ (3).

..... (4) ასევე სკოლის სახურავი და ბიბლიოთეკაში ჩამოდის წვიმის წყალი, რომელიც (5) წიგნად ფონდს.

..... (6), გაითვალისწინოთ ჩვენი სკოლის მდგომარეობა და დახმარების სახით..... (7) 20 000 ლარი. ამ ფულს ასე გავანაწილებთ: 10 000 ლარს -..... (8) მდინარის კალაპოტის გასამაგრებლად, 3000 ლარს — დანგრეული ღობის ასაშენებლად, 3000 ლარს — დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად, 2000 ლარს – ბიბლიოთეკის..... (9) და 2000 ლარს – წიგნების (10).

წინასწარ (11) მადლობას სკოლის დირექციის სახელით.

ქალაქ ბათუმის 1 სკოლის დირექტორი


45) თქვენი აზრით, ამ წერილში რომელი ინფორმაციაა ზედმეტი, უსარგებლო? გაუსვით ხაზი შესაბამის წინადადებებს. წარმოადგინეთ თქვენი პასუხი და დაასაბუთეთ.

ტიქსტის შიქმნა

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლა მნიშვნელოვნად დაზიანდა სტიქიის შედეგად. მისწერეთ წერილი საქართველოში მოღვაწე რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას და დაუსაბუთეთ, რომ თქვენს სკოლას სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად სასწრაფოდ ესაჭიროება გარკვეული თანხა.



! სიტყვების მინიმალური რაოდენობაა 120

ა. საკომუნიკაციო სიტუაციის დაზუსტება



ბ. იდეების დაბადება და განვითარება

ჩამონერეთ იდეები. დააკონკრეტეთ, რა ინფორმაციას შეიტანთ წერილში.



რომელს აკლია მაგალითები?

- არგუმენტი 1.
- არგუმენტი 2.
- არგუმენტი 3.
- არგუმენტი 4.

- გასაგებად არის თუ არა ჩამოყალიბებული არგუმენტები? რომელია ბუნდოვნად გადმოცემული?

.....

.....

.....

მონიშნეთ შეცდომები	
არის	უნდა იყოს
1.	1.
2.	2.
3.	3.
4.	4.
5.	5.
6.	6.
7.	7.
8.	8.
9.	9.
10.	10.
11.	11.

1) შეადგინეთ ლექსიკონი შემდეგი ტერმინებით.

• დოკუმენტაცია:

- მისიის განაცხადი
- შინაგანაწესი.....
- სასწავლო გეგმა.....
- საშტატო განრიგი.....
- არჩევნების ოქმი.....
- აღრიცხვიანობის ფურცელი.....

• სკოლის მმართველობისა და თვითმმართველობის რგოლები:

- დირექცია
- სამეურვეო საბჭო
- პედაგოგიური საბჭო
- მოსწავლეთა თვითმმართველობა
- მშობელთა სათათბირო
- დისციპლინარული კომიტეტი

2) წარმოდგენილ ცხრილზე დაყრდნობით გაარკვიეთ და ჩაწერეთ, ვინ ასრულებს ქვემოთ მოცემულ საქმიანობას.

ვინ შეიმუშავებს	დოკუმენტაცია	ვინ ამტკიცებს
1. დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა	1. სკოლის შინაგანაწესი	1. სამეურვეო საბჭო
2. დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მშობელთა სათათბირო, მოსწავლეთა თვითმმართველობა	2. სკოლის სასწავლო გეგმა	2. პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით
3. პედაგოგიური საბჭო	3. სახელმძღვანელოთა სია	3. პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით
4. დირექცია	4. საშტატო განრიგი	4. დირექტორი
5. დირექცია	5. სკოლის ბიუჯეტი	5. სამეურვეო საბჭო
6. დირექცია	6. წლიური ანგარიში	6.
7. დირექცია	7. სკოლის წესდება	7. სამინისტრო

სამეურვეო საბჭო სამინისტრო
სკოლის დირექცია
პედაგოგიური საბჭო

- შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტს.
- ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს.
- შეიმუშავებს სახელმძღვანელოთა სიას.
- შეიმუშავებს საშტატო განრიგს.
- ამტკიცებს სკოლის წესდებას.

3) მოცემული ზმნები ჩასვით სათანადო ადგილას.

შეიმუშავებს

ამტკიცებს

- სამეურვეო საბჭო სკოლის ბიუჯეტს.
- დირექცია სკოლის შინაგანანესს.
- დირექცია სკოლის ბიუჯეტს.
- პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სახელმძღვანელოთა სიას.

4) ცხრილში (გვ. 69) მოცემული ინფორმაციის შესახებ დაუსვით ერთმანეთს კითხვები და უპასუხეთ ნიმუშების მიხედვით.

I.

ვინ შეიმუშავებს/ამტკიცებს სკოლის შინაგანანესს?

ნიმუში: სკოლის შინაგანანესს შეიმუშავებენ დირექცია, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა. . .

II.

რას შეიმუშავებს/ამტკიცებს სამეურვეო საბჭო?

ნიმუში: სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანანესს.

ცხრილი 1

მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს.

(ვინ?)

(რას?)

მასწავლებლის მოვალეობაა გაკვეთილის ჩატარება.

(ვისი?)

(რის?)

5) გამოიყენეთ ბლოკში მოცემული სიტყვები და დაასრულეთ წინადადებები.

მანქანის ტარება სწავლა ვარჯიში
 მანქანას ატარებს სწავლობს ვარჯიშობს

მოსწავლე

მოსწავლის მოვალეობაა

სპორტსმენი

სპორტსმენის მოვალეობაა

მძლოლი

მძლოლის მოვალეობაა

Horizontal lines for writing answers to the first three questions.

6) შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: დირექცია შეიმუშავებს სკოლის შინაგანანესს. —> დირექციის მოვალეობაა სკოლის შინაგანანესის შემუშავება.

1. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს.

—>

2. დირექცია შეიმუშავებს სკოლის წესდებას. —>

.....

3. პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს სახელმძღვანელოთა სიას. —>

.....

4. სამინისტრო ამტკიცებს სკოლის წესდებას. —>

.....

Horizontal lines for writing answers to questions 1-4.

7) ცხრილში (გვ. 69) მოცემული ინფორმაციის გამოყენებით დაასრულეთ წინადადებები.

დირექციის მოვალეობაა —> სკოლის შინაგანანესის შემუშავება.
.....
.....

სამეურვეო საბჭოს მოვალეობაა —>
.....
.....

პედაგოგიური საბჭოს მოვალეობაა —>
.....
.....

8) ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ადგილას.

მაძიებელი ჩამტარებელი შემმოწმებელი
 მმართველი განმცხადებელი დამკვირვებელი
 ამსახველი მხარჯველი შემმუშავებელი

ვინ არის ის, ვინც განაცხადებს

ეძებს შეიმუშავებს

აკვირდება ატარებს

ხარჯავს ასახავს

ამონმებს მართავს

9) გამოიყენეთ წინა სავარჯიშო და დაასრულეთ წინადადებები კონტექსტის მიხედვით.

ნიმუში: სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. ის არის სკოლის ბიუჯეტის დამმტკიცებელი.

1. დირექტორი მართავს სკოლას. ის არის
2. დამრიგებელი ატარებს კრებას. ის არის
3. კაცი ხარჯავს ფულს. ის არის
4. დედა ამონმებს დავალებას. ის არის

10) აირჩიეთ ბლოკში მოცემული მასალა და ჩასვით სათანადო ადგილას.

სამეთვალყურეო საბჭო
 სკოლა დირექცია
 ეროვნული გამოცდების ცენტრი

1. აკრედიტაციის მაძიებელი არის
2. სკოლის წესდების შემმუშავებელი არის
3. სკოლის დირექციის მაკონტროლებელი არის
4. ეროვნული გამოცდების ჩამტარებელი არის

13) ჩასვით სიტყვები სათანადო ადგილას.

ურთიერთპატივისცემა ურთიერთმხარდაჭერა ურთიერთთანამშრომლობა

ერთმანეთის პატივისცემა, ანუ —>
 ერთმანეთის მხარდაჭერა, ანუ —>
 ერთმანეთთან თანამშრომლობა, ანუ —>

14) კონტექსტის მიხედვით შეარჩიეთ სათანადო სიტყვები, ჩასვით შესაბამის ადგილას და დააზუსტეთ მათი მნიშვნელობები.

*კეთილგანწყობილი ხელმისაწვდომი გამჭვირვალე
 ნახალისება უსაფრთხოება*

1. ეს ინფორმაცია თავისუფლად შეგიძლიათ ნახოთ. ის ყველასათვის არის
2. ნუ გეშინიათ, აქ თქვენი შვილის დაცულია.
3. გიორგი კარგი ადამიანია. ის ყველას მიმართ არის
4. გუშინ მეათეკლასელები დააჯილდოვეს. ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა იშვიათი არ არის.
5. ჩვენი სკოლის დირექტორი ყველასთან თანამშრომლობს. მისი საქმიანობა არის

15) მოცემული ანტონიმები დაალაგეთ დადებითი/უარყოფითი ნიშნის მიხედვით.

~~დაცული~~ - ~~დაუცველი~~ ხელმისაწვდომი - ხელმიუწვდომელი
 შეუმონმებელი - შემონმებელი დაფინანსებული - დაუფინანსებელი
 შეუმუშავებელი - შემუშავებული გამჭვირვალე - გაუმჭვირვალე
 წარუმატებელი - წარმატებული.

დადებითი	უარყოფითი
დაცული	დაუცველი

18) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

ტექსტი №1.

აკრედიტაციის სტანდარტები

I. აკრედიტაციის მაძიებელ სკოლაში

1. უნდა იყოს ურთიერთპატივისცემა. მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს უნდა ჰქონდეთ თვითრეალიზების საშუალება და ურთიერთმხარდაჭერა.
2. სკოლა უნდა იყოს დაცული.
3. სკოლაში უნდა იყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.
4. თითოეული მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს სკოლამ რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის წარმატებებისა და სკოლის საქმიანობის შესახებ და საშუალება მისცეს მას მონაწილეობა მიიღოს სკოლის საქმიანობაში.

II. სკოლის აკრედიტაციის კრიტერიუმები და მათი შემონმების წყაროები და საშუალებები.

კრიტერიუმი	შემონმების წყარო და საშუალება
1. სკოლას აქვს შინაგანგანესი	1.
2. სკოლას აქვს ქმედობაუნარიანი სტრუქტურა	2. სამტატო განრიგის სქემა
3. სკოლის მართვაში მონაწილეობენ მოსწავლეები, მშობლები, არის კუთვნილების გრძნობით განმსჭვალული ატმოსფერო	3. არჩევნების ოქმი; შეხვედრებისა და დისკუსიების ამსახველი დოკუმენტები;
4. დოკუმენტაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი	4. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, ინტერვიუს აღება, საინფორმაციო დაფა, შინაგანგანესი
5. სკოლით კმაყოფილები არიან მოსწავლეები და მშობლები	5.
6. სკოლას აქვს მოსწავლეების ნახალისების მექანიზმები	6.
7. სკოლას აქვს პრობლემების მქონე მოსწავლეების დახმარების მექანიზმები	7.
8. სკოლას აქვს უსაფრთხო გარემო	8. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები; სამედიცინო კაბინეტი (პერსონალი, მედიკამენტები)
9. პედაგოგებს შორის არის ურთიერთთანამშრომლობა	9. კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, კათედრების სხდომის ოქმები, ინტერვიუს აღება ჩატარება პედაგოგებთან, მასწავლებელთა მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია
10. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზაციას	10.

19) ნაკითხეთ ტექსტის I ნაწილი და ჩანერეთ, რომელ პუნქტშია საუბარი შემდეგ საკითხებზე:

- პედაგოგების კვალიფიკაციის ამალღებისათვის ზრუნვა
- სკოლის უსაფრთხოება
- სკოლაში პასუხისმგებლობის თანაბრად გადანაწილება
- კეთილგანწყობილი გარემო

20) ქვემოთ მოცემულია შემონმების ის წყაროები და საშუალებები, რომლებიც აკლია ტექსტს. გაეცანით თითოეულ მათგანს, დაუკავშირეთ ისინი შესაბამის კრიტერიუმებს და ჩასვით სათანადო ადგილას.

მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვიანობის ჟურნალი, ინტერვიუების აღება მშობლებთან, მოსწავლეებთან, გაკვეთილზე დაკვირვება

სიგელები, ბრძანებები, შინაგანაწესი

შინაგანაწესი; მისი დამტკიცების ოქმი

დამატებითი მეცადინეობის ამსახველი დოკუმენტაცია

კლუბების, წრეების არსებობისა და მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია

21) თავიდან გაეცანით შემონმების წყაროებსა და საშუალებებს და ჩანერეთ, რომელ დოკუმენტებშია ასახული:

1. წრეების მუშაობა
2. მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილებზე
3. დამატებითი მეცადინეობები
4. სკოლის ფინანსები
5. სამეურვეო საბჭოს ახალი თავმჯდომრის არჩევა
6. ქართული ენის კათედრის სხდომა

ა) სკოლა:

ბ) სკოლის დოკუმენტაცია:

გ) სკოლის გარემო:

26) გამოიყენეთ წინა დავალებში მოცემული ზედსართავები, ნიმუშის მიხედვით დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები თქვენი სკოლის შესახებ და უპასუხეთ.

- დიახ, ჩვენი სკოლა არის. . .
- არა, ჩვენი სკოლა არ არის. . .

27) ქვემოთ მოცემული წინადადებები გადაიყვანეთ ახლანდელ დროში.

ნიმუში: სკოლაში უნდა იყოს კეთილგანწყობა.
→ სკოლაში არის კეთილგანწყობა.

1. სკოლა უნდა იყოს დაცული. →
2. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ თვითრეალიზაციის საშუალება. →
3. თანაბრად უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობა. →
4. სკოლის პერსონალს უნდა ჰქონდეს ურთიერთმხარდაჭერა. →
5. მასწავლებლებს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთთანამშრომლობა. →
6. სკოლა მშობლებს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას. →
7. სკოლა მშობლებს უნდა აძლევდეს სკოლის საქმიანობაში მონაწილეობის საშუალებას. →

28) გაეცანით საკომუნიკაციო სიტუაციას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკრედიტაციის მაძიებელი მე-10 და მე-6 საჯარო სკოლების მდგომარეობა. ჯგუფის წევრებმა ჩაინიშნეს შემოწმების კონკრეტული შედეგები, რომელთა მიხედვითაც მათ უნდა შეადგინონ შემაჯამებელი დასკვნები.

29) გაეცანით მე-10 და მე-6 საჯარო სკოლების მდგომარეობას და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.**ტექსტი №2****მე-10 საჯარო სკოლის მდგომარეობა**

1. სკოლის დოკუმენტაციაში არის სკოლის შინაგანანგის დამტკიცების ოქმი, მაგრამ არ ჩანს მისი შემუშავების ამსახველი დოკუმენტი.
2. სკოლას არა აქვს ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი.
3. სკოლაში არ არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ოქმი.
4. არის სხდომის ოქმი, რომელიც ასახავს სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურას. სხდომის ოქმის მიხედვით, გეგმების შემუშავებაში მარტო პედაგოგიური საბჭო მონაწილეობდა.
5. სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, არა აქვს გაზეთი, არ არის მშობელთა და მოსწავლეთა კრებების ამსახველი დოკუმენტაცია.
6. შემუშავებულია სკოლის ტერიტორიაზე შესვლისა და იქიდან გამოსვლის კონტროლის მექანიზმები — სკოლას ჰყავს დარაჯი; მეცადინეობების დროს იკეტება შენობის კარი; არსებობს სათანადო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მე-10 საჯარო სკოლას პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის ფარგლებში 2007 წელს ჩაუტარდა შენობის სრული რეაბილიტაცია; ახალი აპარატურით არის აღჭურვილი სკოლის სამედიცინო კაბინეტი; ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით; ბიბლიოთეკას აქვს განახლებული წიგნადი ფონდი; მონესრიგებულია გათბობის საშუალებები; ფუნქციონირებს სკოლის სასადილო.
7. საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმებში ასახულ გადაწყვეტილებებს ძირითადად კათედრის გამგე იღებს; არ არსებობს დისკუსიების ამსახველი დოკუმენტაცია.
8. მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან აღებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ თითქმის არ იმართება სასკოლო და სკოლისგარეთა ღონისძიებები; არსებობს მხოლოდ ერთი ჩატარებული სპორტული ღონისძიების ამსახველი მასალა; არ ხდება მოსწავლეთა ნახალისება.
9. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხშირია გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.
10. გაკვეთილებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია; გაკვეთილები უინტერესო; მასწავლებელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი არასოდეს ყოფილან გადასამზადებელ კურსებზე.

მე-6 საჯარო სკოლის მდგომარეობა

1. სკოლის დოკუმენტაციაში არის სკოლის შინაგანანენის დამტკიცების ოქმი, ასევე დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მისი შემუშავების პროცედურა: შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დირექციამ, პედაგოგიურმა საბჭომ და მოსწავლეთა თვითმმართველობამ.
2. სკოლას აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი.
3. არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ოქმი.
4. არის სხდომის ოქმი, რომელიც ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას. ოქმის მიხედვით, გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დირექციამ, პედაგოგიურმა საბჭომ, მშობელთა სათათბირომ და მოსწავლეთა თვითმმართველობამ.
5. სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, გაზეთი, რადიო, არის ღია კარის დღეების განრიგი; მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, სკოლაში ხშირია მშობლისა და დამრიგებლის შეხვედრები, მშობლების მონაწილეობა ღონისძიებებში.
6. ეზოს არა აქვს ღობე, სახურავი გამოსაცვლელია; მწყობრიდან არის გამოსული გათბობის სისტემა, მოუნესრიგებელია სველი წერტილები, გამოსაცვლელია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, არ არის აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, კეთილმოწყობელია სასადილო.
7. კათედრების შეხვედრების განრიგის მიხედვით კათედრის წევრები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს; კათედრის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
8. არსებობს წრეების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, სკოლაში მუშაობს კლუბები; ბიბლიოთეკაში გამოფენილია მოსწავლეთა ნახატები და ფოტოსურათები; არის სკოლაში და სკოლის გარეთ ჩატარებული ოლიმპიადებისა და კონფერენციების ამსახველი მასალა.
9. აღრიცხვიანობის ყურნალის მიხედვით მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი მაღალია, ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს უხარიათ სკოლაში მოსვლა.
10. მასწავლებელთა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ისინი ესწრებიან მასწავლებელთა გადამზადების კურსებს; აგრეთვე სკოლის ბიუჯეტში ჩადებულია თანხა მასწავლებელთა გადასამზადებლად; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში.

ყსნობი ლისყუქბი/კომენცაპუბი

30) გაეცანით ცხრილში მოცემულ ინფორმაციას და მე-2 და მე-3 ტექსტზე დაყრდნობით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

	მე-6 სკოლა	მე-10 სკოლა
1. სკოლას ჰყავს დარაჯი.		
2. სკოლაში რეგულარულად ტარდება ღია კარის დღეები.		
3. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სასადილო.		
4. სკოლის სრული რეაბილიტაცია მოხდა 2007 წელს.		
5. სკოლას სჭირდება რეაბილიტაცია.		
6. სკოლაში სწავლების დონე დაბალია.		
7. მოსწავლეები აქტიურად აწყობენ გამოფენებს.		
8. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ ღონისძიებაში.		
9. მოსწავლეები სიხარულით დადიან სკოლაში.		
10. მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის საქმიანობაში.		

31) გაეცანით მე-10 საჯარო სკოლის შედეგებს, მოიძიეთ ინფორმაცია და ქვემოთმოცემულ წინადადებებს მიუწერეთ შესაბამისი ციფრები.

1. სკოლის მართვაში თანაბრად არ არის გადანაწილებული პასუხისმგებლობა.
2. სკოლა არ ზრუნავს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე.
3. მოსწავლეები და მშობლები კმაყოფილები არ არიან სკოლით.
4. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.
5. პედაგოგები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.
6. სკოლა არ ზრუნავს მოსწავლეების თვითრეალიზებაზე.

32) გაეცანით მე-6 საჯარო სკოლის შედეგებს, მოიძიეთ ინფორმაცია და ქვემოთმოცემულ წინადადებებს მიუწერეთ შესაბამისი ციფრი.

1. სკოლის დოკუმენტაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი.
2. სკოლის მართვაში თანაბრად მონაწილეობენ პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები.
3. სკოლას არა აქვს უსაფრთხო გარემო.
4. სკოლა ზრუნავს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე.
5. მოსწავლეები და მშობლები კმაყოფილები არიან სკოლით.

6. სკოლაში არის ურთიერთპატივისცემა და ურთიერთმხარდაჭერა.

7. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების თვითრეალიზაციას.

33) გაიხსენეთ და მიუწერეთ სათანადო ანტონიმები.

- მონესრიგებული
- ხელმისაწვდომი
- კმაყოფილი
- გამჭვირვალე
- ხელშემწყობი
- უსაფრთხო
- განახლებული
- აღჭურვილი
- გამოცვლილი

34) კიდევ ერთხელ გაეცანით მე-6 და მე-10 საჯარო სკოლების მდგომარეობას. გამოიყენეთ წინა დავალების მასალა და შეავსეთ ნაკლები ტექსტი.

მე-10 საჯარო სკოლის დოკუმენტაცია არის
..... სკოლის ბიბლიოთეკას აქვს
..... წიგნადი ფონდი.

მე-10 საჯარო სკოლაში არის.....
..... გარემო. სკოლაში
..... კომუნიკაციები.


მე-6 საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის შექმნილია
..... პირობები. სკოლის დირექციით ყველა
ა. სკოლაში არ არსებობს ----- გარემო.
..... სკოლის სახურავი, სასაფლაო.

35) პირველ სვეტში მოცემული წინადადებები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

რა არის	რა უნდა იყოს
1. მშობლები არ იღებენ მონაწილეობას სკოლის საქმიანობაში.	1. მშობლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა სკოლის საქმიანობაში.
2. მოსწავლეები არ არიან ჩართულები სასწავლო პროცესში.	2. მოსწავლეები უნდა იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.
3. პედაგოგები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.	3.
4. კათედრები არ განიხილავენ წარმატებებსა და წარუმატებლობებს.	4.
5. სკოლაში არ ტარდება ღია კარის დღეები.	5.
6. ბიუჯეტი არ არის გათვალისწინებული თანხა მასწავლებელთა გადასამზადებლად.	6.
7. ბიუჯეტიდან არ გამოიყოფა თანხა ღონისძიებისთვის.	7.
8. სკოლაში არ მუშაობს კლუბები.	8.
9. სკოლაში არ ეწყობა გამოფენები.	9.
10. სკოლაში არ იმართება სპორტული ღონისძიებები.	10.
11. სკოლაში არ არის მონესრიგებული გათბობის სისტემა.	11.
12. სამედიცინო კაბინეტი არ არის აღჭურვილი ახალი აპარატურით.	12.

36) რა არის საჭირო იმისათვის, რომ მე-10 საჯარო სკოლამ მიიღოს აკრედიტაცია? წარმოადგინეთ სათანადო რეკომენდაციები.

იმისათვის, რომ მე-10 საჯარო სკოლამ მიიღოს აკრედიტაცია, საჭიროა:



37) გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული მოდელები და შეადგინეთ კითხვები სკოლის შესახებ. დაუსვით კითხვები თქვენს მენეჯერს.

აქვს თუ არა თქვენს სკოლას...?

ხელს უწყობს თუ არა სკოლა...?

სკოლის მართვაში მონაწილეობენ თუ არა...?

არის თუ არა (დოკუმენტაცია...) + ... (ხელმისაწვდომი...)?

საიდან ჩანს, რომ თქვენს სკოლაში არის...

38) მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით დაწერეთ, რა მდგომარეობაა თქვენს სკოლაში. ნაწერი წარმოადგინეთ.

39) აკრედიტაციის სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასეთ თქვენი (ან თქვენი მეწყვილის) სკოლა: რა შეესაბამება აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის მოთხოვნებს და რა — არა. დააკონკრეტეთ, საიდან ჩანს ეს.

ნიმუში: 1. ჩვენს სკოლას არა აქვს უსაფრთხო გარემო: სკოლის შენობა ავარიულია, სკოლაში არ არის უსაფრთხოების მექანიზმები...

2. ჩვენი სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზებას: სკოლაში ეწყობა მოსწავლეთა ნახატების გამოფენები, მუშაობს ინგლისურისა და ცეკვის წრეები...

40) დაწერეთ რეკომენდაციები, რა უნდა შეიცვალოს თქვენს სკოლაში, რომ სკოლამ მიიღოს აკრედიტაცია.

.....
.....
.....
.....

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

41) დააკვირდით მე-4 ცხრილს და შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

მოვალეობაა	} + II კავშირებითი
ფუნქციაა	
მიზანია...	

ცხრილი 1

ნიმუში: დირექციის მოვალეობაა სკოლის შინაგანანგის შემუშავება.
 დირექციის მოვალეობაა შეიმუშაოს სკოლის შინაგანანგის.

1. სამეურვეო საბჭოს მოვალეობაა სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება.
2. დირექციის მოვალეობაა სკოლის წესდების შემუშავება.
3. პედაგოგიური საბჭოს მოვალეობაა სახელმძღვანელოთა სიის შემუშავება.
4. სამინისტროს მოვალეობაა სკოლის წესდების დამტკიცება.

42) შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

1. დირექციის მოვალეობაა

- შეიმუშავა საშტატო განრიგი
- შეიმუშაოს საშტატო განრიგი
- შეიმუშავებს საშტატო განრიგს

2. პედაგოგიური საბჭოს მოვალეობაა

- დაამტკიცოს სახელმძღვანელოთა სია
- დაამტკიცებს სახელმძღვანელოთა სიას
- ამტკიცებდა სახელმძღვანელოთა სიას

43) დაუბრუნდით თქვენს ნაწერს (სავარჯიშო № 38) და ნაწერის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

სკოლის მმართველობის რგოლები	რას აკეთებს?	რას არ აკეთებს?
დირექცია		
სამეურვეო საბჭო		
პედაგოგიური საბჭო		
მოსწავლეთა თვითმმართველობა		
მშობელთა სათათბირო		

44) ცხრილზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, ვინ ასრულებს სკოლაში თავის მოვალეობას და ვინ — არა.



დამატებითი აქტივობები II კავშირებითის ფუნქციებზე! სავარჯიშოები თავთავიდან: „თავთავი 2“ — მოსწ. წიგნი: თემა 5, სიტუაცია 1, ცხრილი 6 (გვ. 45), 9 (გვ. 47); **სამუშაო რვეული:** თემა 5, სიტუაცია 1, სავარჯიშოები - 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23 (გვ. 159-163), სიტუაცია 2, 31-ბ, 40, 42, 43, 44. „თავთავი 3“ — მოსწ. წიგნი: თემა 1, სიტუაცია 2, სათაფსო 10, 11, 14, 15 (გვ. 10-11), **სამუშაო რვეული:** თემა 1, სიტუაცია 2, სავარჯიშოები - 84, 85, 86, 87, 88, 91 (გვ. 52-56).

ცხრილი 1

სასწავლო გარემო = ფიზიკური რესურსები + ადამიანური რესურსები და მათ შორის ურთიერთობები

1) ქვემოთ მოცემული მასალა გადაანალიზეთ შესაბამის ბლოკებში.

სკოლა კლასი დამლაგებელი დაფა კომპიუტერი მასწავლებელი დირექტორი სპორტული ინვენტარი წიგნები მშობელი სპორტული მოედანი მოსწავლე

ფიზიკური რესურსები

.....

.....

.....

.....

ადამიანური რესურსები

.....

.....

.....

.....

2) ქვემოთ მოცემული წინადადებები გადაანალიზეთ დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით

დადებითი სასწავლო გარემო	უარყოფითი სასწავლო გარემო

- ა) მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობაა;
- ბ) კლასელებს აქვთ ერთიანობის განცდა;
- გ) მასწავლებელი გულისხმიერი და სამართლიანია;
- დ) მასწავლებელი ადანაშაულებს მოსწავლეებს ისე, რომ არ არკვევს გარემოებას;
- ე) კონფლიქტებია პარალელურ კლასებს შორის;
- ვ) მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობაა, ისინი თანამშრომლობენ და პატივს სცემენ ერთმანეთს;
- ზ) მასწავლებელი ამცირებს მოსწავლეს, იბარებს მშობლებს და ჩივის დირექტორთან;
- თ) მასწავლებელი მოსწავლეებს არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას;
- ი) მშობლები გულგრილები არიან სკოლის მიმართ;
- კ) მშობლები ეხმარებიან მასწავლებლებს ღონისძიებების მოწყობაში;
- ლ) მშობლები ინტერესდებიან თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებით;
- მ) სასკოლო ცხოვრება მრავალფეროვანია, ფუნქციონირებს წრეები, ტარდება კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიება, ეწყობა ექსკურსიები, ხორციელდება სასწავლო პროექტები;
- ნ) სასკოლო ცხოვრება ერთფეროვანია: არ ფუნქციონირებს წრეები, არ ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და არ ხორციელდება სასწავლო პროექტები;

3) დაუსვით ერთმანეთს კითხვები თქვენი სკოლის სიტუაციის მიხედვით და უპასუხეთ.

ნიმუში:



4) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება.

saswavi o gar emo

სასწავლო გარემო არის სკოლაში არსებული ყველა სასწავლო საშუალებისა და რესურსის ერთობლიობა. იგი შედგება ფიზიკური და სოციალური ელემენტებისაგან.

სასწავლო გარემოს ფორმირებაზე გავლენას ახდენენ როგორც სოციალური (მაგალითად, მოსწავლე-მასწავლებლის, მასწავლებელი-მასწავლებლის, მოსწავლე-მოსწავლის, სკოლა-მშობლის ურთიერთობები), ისე მატერიალურ-ტექნიკური ფაქტორები.

დადებითი სასწავლო გარემოს ძირითადი მახასიათებლებია:

1. ფსიქოლოგიური უსაფრთხოება: მოსწავლეს შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა. მის პიროვნულ თავისებურებებს პატივს სცემენ. გარემო არის მზრუნველი, გულწრფელი და ნდობით აღსავსე;

2. ფიზიკური უსაფრთხოება: მოსწავლის ჯანმრთელობას არ ექმნება საფრთხე;

3. ინკლუზია: სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის, სპეციალური განათლების საჭიროების მქონე მოსწავლეები პატივს სცემენ ერთმანეთს, მშვიდობიანად თანაარსებობენ და სწავლობენ ერთ გარემოში;

4. ინტერაქტიური საკლასო გარემო: გარემო, სადაც მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს — ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების დაძლევაში; ხოლო მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

5) წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები, მოძებნეთ ტექსტში შესაბამისი მახასიათებლის ნომერი და მიუწერეთ.

- მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობაა. -----
- კონფლიქტებია პარალელურ კლასებს შორის. -----
- მოსწავლეებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებელი მკაცრი და უსამართლოა. -----
- სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. -----
- მასწავლებელი არ აძლევს მოსწავლეებს აზრის გამოთქმის საშუალებას. -----
- მოსწავლეები ჩართულები არიან ჯგუფურ სამუშაოებში. -----
- სკოლის შენობა მთლიანად ავარიულია. -----
- მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლეთა დაინტერესებას და მათ ჩართვას სასწავლო პროცესში. -----

6) თავიდან წაიკითხეთ მე-10 და მე-6 საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობა (გვ. 80-81) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

- ა) სოციალური და ფიზიკური ფაქტორების მიხედვით განსაზღვრეთ, როგორია სასწავლო გარემო მე-10 და მე-6 საჯარო სკოლებში.

№ მე-10 საჯარო სკოლის სოციალური და ფიზიკური ფაქტორები	დადებითი სასწავლო გარემო	უარყოფითი სასწავლო გარემო
<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა • ურთიერთობა მასწავლებლებს შორის • ურთიერთობა მოსწავლეებს შორის • სკოლისა და მშობლის ურთიერთობა. • სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 		✓

№ მე-6 საჯარო სკოლის სოციალური და ფიზიკური ფაქტორები	დადებითი სასწავლო გარემო	უარყოფითი სასწავლო გარემო
<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა • ურთიერთობა მასწავლებლებს შორის • ურთიერთობა მოსწავლეებს შორის • სკოლისა და მშობლის ურთიერთობა. • სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 	✓	

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ცხრილების მიხედვით მიუწერეთ შესაბამისი სკოლის ნომერი.


- სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოება დაცულია. მოსწავლის ჯანმრთელობას საფრთხე არ ექმნება. -----
- სკოლაში არ არის ინტერაქტიული საკლასო გარემო, ამიტომ ხშირია გაკვეთილების გაცდენა. -----
- სკოლის გარემო არის მზრუნველი, გულწრფელი და ნდობით სავსე. -----

ცხრილი 2

შედეგი

მოსწავლეები აცდენენ სკოლას.


შეკითხვა



მიზეზი

სკოლაში არ არის დადებითი სასწავლო გარემო.

პასუხი



— რატომ აცდენენ მოსწავლეები სკოლას?

— იმიტომ, რომ სკოლაში არ არის დადებითი სასწავლო გარემო.

მოსწავლეები აცდენენ სკოლას **იმიტომ, რომ** სკოლაში არ არის დადებითი სასწავლო გარემო.


7) გააერთიანეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მოსწავლემ გამოცდა ვერ ჩააბარა. სკოლაში არ დადიოდა.

მოსწავლემ გამოცდა ვერ ჩააბარა იმიტომ, რომ სკოლაში არ დადიოდა.

- სახურავი შეაკეთეს. წყალი ჩამოდიოდა.
- ეს მოსწავლე დააჯილდოვეს. კონკურსში გამარჯვდა.

8) გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სქემა და პასუხები დააკავშირეთ კითხვებთან.



1. რა მიზეზით ჩაიშალა სასწავლო პროცესი?

2. რატომ არ ტარდება ღონისძიებები?

3. რის გამო აცდენს სკოლას?

ა. იმიტომ, რომ სკოლას არა აქვს სათანადო ფინანსები.

ბ. იმის გამო, რომ გრიპი აქვს

გ. იმ მიზეზით, რომ სკოლაში არის ავარიული მდგომარეობა.

1. ----- 2. ----- 3. -----


9) დასვით სათანადო კითხვები.

1. კლასში ხმაურია იმიტომ, რომ მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლეთა დაინტერესებას.

2. სკოლიდან წავიდა იმ მიზეზით, რომ მასწავლებელი არ აძლევდა აზრის გამოთქმის საშუალებას.

3. სკოლაში ვერ დადის იმის გამო, რომ ცუდადაა. -----

ცხრილი 3



ნავიდა იმიტომ, რომ ცუდად იყო. ნავიდა იმისათვის, რომ იყიდოს.

10) დააკვირდით ქვემოთ მოცემულ მაგალითებს და შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

- ა) ვერ ისწავლა გაკვეთილი იმიტომ, რომ წიგნი ვერ იყიდა.
- ბ) ნავიდა მაღაზიაში იმისათვის, რომ წიგნი იყიდოს.

... იმისათვის, რომ + II კავშირებითი გამოხატავს:

- ა. მიზეზს ბ. მიზანს

11) ჩასვით ზმნა სათანადო ფორმაში.

- მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ იმისათვის, რომ კლასი საზეიმოდ ----- (მოწყობა).
- დირექციამ სამშენებლო მასალები იყიდა იმისათვის, რომ სკოლა ----- (გარემონტება)

12) გაარკვიეთ, რა არის ქვემოთ მოცემულ წინადადებებში გადმოცემული: მიზეზი თუ მიზანი. აირჩიეთ და ჩასვით სათანადო ადგილას:

იმიტომ, რომ / იმისათვის, რომ

1. ტირის ----- კბილი სტკივა.
2. მოიძია თანხები ----- სკოლა გაარემონტოს.
3. სკოლაში ნავიდა ----- კრებას დაესწროს.
4. არ მიდის სკოლაში ----- არ იცის გაკვეთილი.
5. ჩაატარა კრება ----- პრობლემა მოაგვაროს.

- 13) სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა გამოაცხადა კონკურსი. გაეცანით ცენტრის განცხადებას და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

კონკურსი — საუკეთესო სასკოლო პრაქტიკა

გაზეთ „დიალოგი +“-ის რედაქცია აცხადებს „საუკეთესო სასკოლო პრაქტიკის“ კონკურსს.

ა)

- გაიზარდოს სკოლების როლი რეფორმის პროცესში.
- გაგრძელდეს საუკეთესო სასკოლო პრაქტიკა.
- ხელი შეეწყოს სასკოლო გამოცდილების გაზიარებას.

ბ) კონკურსის თემატიკა

1. წარმატებული დამრიგებელი — კლასის ხელმძღვანელობის მაგალითი
2. წარმატებული კათედრა — -----

3. წრეებსა და კლუბებში მუშაობა — -----

4. სკოლის მართვა — ეფექტური მართვის გამოცდილება
5. მშობელთა ჩართულობა — -----

6. მასწავლებელთა თანამშრომლობა — -----
----- (მაგ.: ფსიქოლოგისა და მასწავლებლის)

გ)

ნაშრომში მითითებული უნდა იყოს:

- სკოლის დასახელება და ავტორი
- საუკეთესო სასკოლო პრაქტიკის დასახელება
- ინიციატივის გეგმა, განხორციელება, მიღებული შედეგები (მოკლე აღწერა იმ მიზეზებისა, რომლებმაც ბიძგი მისცეს თქვენს პრაქტიკას. იდეის, პროგრამის, პროექტის, საქმიანობის თუ მაგალითის განხორციელება და მიღებული შედეგები)
- შედეგის ეფექტურობის დამტკიცება
- რატომ მიიჩნით ეს პრაქტიკა წარმატებულად.

დ)

- იდეის, პროგრამის, პროექტის, საქმიანობის თუ მაგალითის ორიგინალობა
- სხვების მიერ პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობა

ე)

0102, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, მე-3 სართული, ოთახი 327, ტელ. 95-72-06

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
2008

13. 1. ქვემოთ მოცემული რუბრიკები ჩანერეთ განცხადების ტექსტში სათანადო ადგილას (ა, გ, დ, ე).

კონკურსანტებისათვის წაყენებული მოთხოვნები

რედაქციის მისამართია

კონკურსის მიზანი

შეფასების კრიტერიუმები

13. 2. დაუბრუნდით კონკურსის თემატიკას (ბ) და შეავსეთ ნაკლები თემები. ქვემოთ მოცემული ფრაზები ჩასვით სათანადო ადგილას.

- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მონაწილეობის საუკეთესო ნიმუში
- კლასგარეშე მუშაობის საუკეთესო პრაქტიკა
- მასწავლებელთა შორის წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის მაგალითი
- კათედრის მუშაობის ეფექტური ნიმუში

13. 3. კიდევ ერთხელ გაეცანით განცხადებას და უპასუხეთ კითხვებს.

- ვინ არის განცხადების ავტორი?
- ვინ არის განცხადების ადრესატი?
- რა არის განცხადების მიზანი?
- სად გამოქვეყნდა განცხადება?
- სად მდებარეობს გაზეთ "დიალოგი +" -ის რედაქცია?

14) გაეცანით კონკურსში მონაწილე სკოლის მიერ წარმოდგენილ საუკეთესო სასკოლო პრაქტიკას და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

აკად. ნ. მარის სახ. ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა

წარმატებული დამრიგებელი
— IX ა კლასის დამრიგებელი
სოფიკო ჩანტლაძე

სამი მ-ს პრინციპი

ჩემი საუკეთესო პრაქტიკა არის ის, რომ ჩემი სადამრიგებლო კლასის მართვა ხორციელდება პრინციპით: მ+მ+მ (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი), ანუ, როგორც ჩვენ ვუნოდებთ, სამი მ-ს პრინციპით.

ამ პრინციპის განხორციელების სტიმული ჩემმა სადამრიგებლო კლასმა მომცა. მინდოდა დავრწმუნებულიყავი და სხვებიც დამერწმუნებინა, რომ არ არსებობს ცუდი და კარგი კლასი, არსებობს ცუდი და კარგი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის განმახორციელებელი ადამიანი.

მუშაობის გასაიოლებლად შევიმუშავე სამოქმედო გეგმა.

I ეტაპი — გამოვიკვლიე კლასში არსებული პრობლემები

აღმოჩნდა:

- მეგობრობის დაბალი ხარისხი
- ცალკეულ ჯგუფებად დაყოფილი კლასი
- საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრება
- კონფლიქტები პარალელურ კლასთან
- სკოლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან.

II ეტაპი — კლასის გაცნობა

მოსწავლეებს ვთხოვე შეევსოთ ანკეტა „ვინ ვარ მე“, რომელშიც დააფიქსირეს თავიანთი ინტერესები, შესაძლებლობები, გატაცებები და ნახატების სახითაც წარმოადგინეს თავი. მათ ფერად სტიკერებზე დაწერეს მოლოდინები და გააკრეს დაფაზე. კითხვარის საშუალებით უკეთ გავიცანი თითოეული მოსწავლე, მათი მოთხოვნები.

III ეტაპი — მშობელთა შეკრება მრგვალ მაგიდასთან

- მოვიწვიე მოსწავლეთა მშობლები
- მოვისმინე მათი აზრები შვილების შესახებ
- გავაცანი ჩემი გამოკითხვის შედეგები, კლასის პრობლემები
- შევთავაზე, გვემოქმედა „3 მ-ს პრინციპით“
- ვიმსჯელეთ, რა და როგორ გავგეგმავთ.

IV ეტაპი — სამოქმედო გეგმის განხორციელება

ერთმანეთთან დაახლოების მიზნით მოვანყვეთ:

- ექსკურსიები
- ლაშქრობები
- ღონისძიებები — სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, გასართობი და სხვ.
- შევარჩიეთ კლასის დაბადების დღე და სკოლის საზოგადოებას წარვუდგინეთ ღონისძიება
- მოვანყვეთ მცირე საზეიმო სუფრები მოსწავლეთა დაბადების დღეების აღსანიშნავად
- **შევქმენით კლასის ჰიმნი** /ტექსტი და მუსიკა ჩვენი შეთხზულია/
- **შევარჩიეთ დევიზი:** „**მუდამ ერთად**“ და ამ მოწოდებით ვიმუშავეთ სასწავლო წლის მანძილზე.

შედეგები:

- კლასის 100%-იანი მოსწრება
- დისციპლინის ამაღლება
- კლასგარეშე მნიშვნელოვანი ღონისძიებები
- ერთიანი, მეგობრული კლასის ჩამოყალიბება
- საერთო მიზნის დასახვა და მისი განხორციელებისათვის ჯგუფურად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება
- წარმატების მიღწევის მაღალი მოტივაცია

კარგი შედეგების გამო დირექციამ დააკმაყოფილა მშობელთა ჯგუფის განცხადება კლასის ხელმძღვანელად ჩემი დატოვების შესახებ.

მოტივაცია რომ არ დაცემულიყო, მომდევნო სასწავლო წელს გავაგრძელებთ ღონისძიებების მონყობა:

- ჩავატარეთ ინტელექტუალური თამაშები: „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და დირექციის გუნდები.
- დავგეგმეთ და განვახორციელეთ სასწავლო ექსკურსია ზუგდიდში, სადაც ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი. მუშაობა მიმდინარეობდა სამ ჯგუფში. თითოეულ ჯგუფში ერთი მასწავლებელი, ორი მშობელი და ექვსი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.
- წლის მანძილზე განხორციელდა სასწავლო და აღმზრდელობითი პროექტები.
